ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## აფხაზმა პოლიციელებმა სომეხი ფეხბურთელები წიხლქვეშ გაიგდეს





გვ.7

ორშაბათი, 6 ივნისი, 2016 №132 (7058) ფასი: 50 თეთრი

# ნაციონალებმა „ოცნებას" რეიტინგში გადაუსწრეს?




„ქართული ოცნება": „ამ კვლევას კავშირი არა აქვს არც „ქართულ ოცნებასთან" და არც რეალობასთან"

გვ.2



გვ.3

## „ხელისუფლება ცდილობს, ევროპას ჩვენზე უარი ათქმევინოს"

ლევან ხაბეიშვილი: „აშშ-ის ელჩმა ამაზე მეტი რაღა უნდა გვითხრას"

## ლევან მურუსიძე: „ბავშვის მკვლელს 5 წელი დავუკელი, მაგრამ ამაზე არავინ მეკითხება"



გვ.5

„ივანიშვილთან ჩემი შეხვედრის შემდეგ მოსამართლეებს ხელფასი გაეზარდათ"

## ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველო აშშ-ის მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება

მამუკა არეშიძე: „სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტი ვიზალიბერალიზაციას წინ წასწევს"

გვ.4





## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი ჩამოსვლისთანავე უნდა დააკავონ"

გვ.4

ISSN 1987-9385

## გიორგი ვაშაძეს კინაღამ თავი გაუტყდა

გვ.2



# ნაციონალებმა „ოცნებას“ რეიტინგში გადაუსწრეს?

## „ქართული ოცნება“: „ამ კვლევას კავშირი არა აქვს არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც რეალობასთან“

**„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განცხადებით, ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გამოქვეყნებულ კვლევას „ქართულ ოცნებასთან“ არანაირი შეხება არ აქვს.**

**როგორც პარტიის განცხადებაშია ნათქვამი, ეს არის მარტივი მანიპულაცია, რომელსაც პოლიტიკური ოპონენტები ხშირად მიმართავენ.**

– დღეს ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გამოაქვეყნა ე.წ. კვლევის შედეგები, რომელიც თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ პირველ ივნისს ჩაატარა. ვაცხადებთ, რომ მედიაში გამოქვეყნებულ ამ კვლევას არანაირი კავშირი არა აქვს არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც რეალობასთან.

სამწუხაროდ, ამავე სააგენტომ აქამდეც გაავრცელა მსგავსი ტიპის ე.წ კვლევა. ეს არის მარტივი მანიპულაცია და პოლიტიკაში ჩვენი კონკრეტული ოპონენტი ხშირად მიმართავს ამ მეთოდებს. „ქართული ოცნება“ კვლევებს რეგულარულად ატარებს. არჩევნებამდე დაგეგმილია, სავარაუდოდ, კიდევ 2 კვლევის ჩატარება, შედეგებს კი საზოგადოება არჩევნების დასრულების შემდეგ იხილავს, როდესაც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გამარჯვებას მოიპოვებს, – ნათქვამია „ქართული ოცნების“ განცხადებაში.

◆ ◆ ◆



გუშინ, 5 ივნისს, სააგენტო ჯიეიჩენმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები. სააგენტოს ცნობით, კვლევა „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის და ამით პარტია შეეცადა გაერკვია მოსახლეობის განწყობა, თუ რომელი პოლიტიკური პარტიები იმსახურებენ ნდობას სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

სააგენტოს ინფორმაციით, სულ გამოკითხვის ანკეტაში შეტანილი იყო 13 სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთაგან მხოლოდ 4 საკითხის გადაწყვეტას ანდობენ „ოცნებას“ რესპონდენტები.

კონსტიტუცია და სახელმწიფო მოწყობა: ქართული ოცნება – 12%; ნაციონალური მოძრაობა – 9%; რესპუბლიკური პარტია – 8%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 6%

იუსტიცია და მართლმსაჯულება: ნაციონალური მოძრაობა – 18%; ქართული ოცნება – 10%; რესპუბლიკური პარტია – 7%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 6%

საზოგადოებრივი წესრიგი და პოლიცია: ნაციონალური მოძრაობა – 22%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 7% ქართული ოცნება – 5%; რესპუბლიკური პარტია – 4%

თავდაცვა და უსაფრთხოება: ნაციონალური მოძრაობა – 25%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 10% რესპუბლიკური პარტია – 9%; ქართული ოცნება 7%

საგარეო პოლიტიკა: ნაციონალური მოძრაობა – 32%; ქართული ოცნება – 15%; პატრიოტთა ალიანსი-მრეწველები – 13%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები-ბურჯანაძე-ეროვნული ფორუმი – 12-12%

ფინანსური პოლიტიკა: ნაციონალური მოძრაობა – 11%, ქართული ოცნება – 3%, ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 1%; გირჩი – 1%

ეკონომიკური პოლიტიკა: ნაციონალური მოძრაობა – 22%; ქართული ოცნება – 7%, ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 6%; გირჩი – 4%

სოციალური პოლიტიკა: ქართული ოცნება – 24%; ნაციონალური მოძრაობა – 23%; ლეიბორისტული პარტია – 11%; ბურჯანაძე-ეროვნული ფორუმი – 5%

დასაქმება: ნაციონალური მოძრაობა – 11%; ქართული ოცნება – 6%; ლეიბორისტული პარტია და გირჩი – 2-2%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები და ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის – 1-1%

სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა: ქართული ოცნება – 25%; ნაციონალური მოძრაობა – 15%; რესპუბლიკური პარტია – 6%, ალასანია-თავისუფალი დემოკრატები და ლეიბორისტული პარტია – 2-2%

მეცნიერება და განათლება: ნაციონალური მოძრაობა –14%; ქართული ოცნება – 13%; ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 5%, რესპუბლიკური პარტია – 4%

კულტურა და ძეგლთა დაცვა: ნაციონალური მოძრაობა – 17%; ქართული ოცნება – 11%; ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის – 4%; რესპუბლიკური პარტია – 3%

შერიგებისა და კონფლიქტების რეგულირება: ქართული ოცნება – 17%; ნაციონალური მოძრაობა – 13%, ალასანია-თავისუფალი დემოკრატები – 11%; ბურჯანაძე-ეროვნული ფორუმი – 8%.

# გიორგი ვაშაძეს კინაღამ თავი გაუტყდა

## „ჩვენ ყველა პროდასავლურ ძალასთან ვითანამშრომლებთ“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებისგან განდგომილი გიორგი ვაშაძე ცდილობს, პოლიტიკაში ახალი სტანდარტები დაამკვიდროს. სხვებისგან განსხვავებით, მან პარტიის დაფუძნება სუფთა ჰაერზე გადაწყვიტა. ვერ გეტყვით, ამის გამო ბუნება განრისხდა თუ რა მოხდა, მაგრამ, ის-ის იყო, ვაშაძიანელებს მსვლელობა უნდა დაეწყოთ, რომ თბილისში ძლიერმა სეტყვამ დასცხო.

ვაშაძე და მისი „ახალი საქართველოს“ წევრები თავის გატეხას სასწაულით გადაურჩნენ და მსვლელობა სეტყვის გადაღების შემდეგ დაიწყეს. საინტერესოა ისიც, რომ სეტყვა ვაშაძეს კარგად ენიშნა.

მისი თქმით, როგორც კი მათი ღონისძიება დაიწყო, გამოვიდა კაშკაშა მზე. ის ამტკიცებს, რომ ასე გამოვა კაშკაშა მზე მთელ საქართველოში.

ბუნების ძალების გარდა, ვაშაძეს იმედი მხარდამჭერების სიმრავლემაც გაუჩინა. მისი თქმით, „ახალ საქართველოში“ გაწევრიანების მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

– ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნაზე განცხადება რამდენიმე კვირის წინ გავაკეთე. იმ მომენტში ჩემ გვერდით იდგა სულ რამდენიმე თანამოაზრე, მაგრამ უკვე მაშინ მქონდა თქვენი იმედი, რომ საქართველოში უამრავი ენერგიული, სამშობლოზე შეყვარებული გონიერი ადამიანია, რომლებსაც აქვთ ახალგაზრდული ჟინი, ზრდასრული სიდინჯე, გონიერება და პროფესიონალიზმი და რომლებსაც ყელში ამოუვიდათ პოლიტიკოსების ეგოცენტრიზმი, უუნარობა, თავგასულობა და აღარ უნდათ, იყვნენ მათი კაპრიზებისა და ხუშტურების მძევლები. ამ ადამიანებს უნდათ არა ილუზორული ოცნება ან დაყვედრებული წარმატება, არამედ საკუთარი ხელით შექმნილი ახალი საქართველო, – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ვაშაძემ.

მისივე თქმით, „ახალმა საქართველომ“ ქართულ პოლიტიკაში რაღაცები უკვე შეცვალა.

– საქართველოში პოლიტიკური ძალები დიდი ფულით იწყებენ მოღვაწეობას. არა, ბატონებო, დღეს ჩვენ გვაქვს 25 ოფისი, რომლებიც გახსნილია ჩვენი მხარდამჭერების სახლებში, საცხოვრებელ ადგილებში. შევიკრიბეთ რუსთაველის გამზირზე, რომელიც ასოცირდება თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლასთან, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე დრამატული და გარდამტეხი მოვლენების შედეგად იწყებოდა ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპები. შევიკრიბეთ არა დაკეტილ დარბაზებში, არამედ ღია ცის ქვეშ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, აქ ვართ და, როგორც კი დავიწყეთ ღონისძიება, გამოვიდა კაშკაშა მზე და ასე გამოვა კაშკაშა მზე მთელ საქართველოში, – განაცხადა ვაშაძემ.



პოლიტიკაში მხოლოდ კაშკაშა მზისა და ახალი სტანდარტების იმედად ვერ იქნები. ეს კარგად იცის ვაშაძემაც და მზად არის, ყველა იმ ძალასთან ითანამშრომლოს, რომელიც პრორუსულად არ არის განწყობილი.

– ჩვენ გახსნილი ვართ დისკუსიისთვის, ყველა პროდასავლური ძალისთვის. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ქვეყანა, სადაც არ არის დაპირისპირებები, სადაც ქვეყნის შიგნით მტერი არ გვყავს, – განაცხადა ვაშაძემ.

ის ფართო კონსულტაციების გზით აპირებს მოძრაობაში ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის ჩართვას.

◆ ◆ ◆

გიორგი ვაშაძემ ნაციონალური მოძრაობა ცოტა ხნის წინ დატოვა. გავრცელებული ვერსიით, ის პარტიიდან იმიტომ წავიდა, რომ სიის ათეულში არ ჩასვეს.

ნაციონალები მას ივანიშვილის პროექტს უწოდებენ, მეოცნებეები კი ფიქრობენ, რომ მისი წამოსვლა ხრიკია და ნაციონალები არჩევნებზე გამოსვლას რამდენიმე ფრონტით აპირებენ.

# თამაზ მეჭიაური პარტიის პრეზენტაციას დღეს გამართავს

## ვინ გადავა მის პარტიაში

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დაპირება შეასრულა და დღეს, 6 ივნისს, ახალი პარტიის პრეზენტაციას გამართავს.

თამაზ მეჭიაური ამას პარლამენტში საკუთარ კაბინეტში გააკეთებს.

პარტიის შექნის გადაწყვეტილება მეჭიაურმა რამდენიმე კვირის წინ მიიღო და მაშინვე შეუდგა კონსულტაციებს. პრეზენტაციამდე თანაპარტიელებისა და პარტიის დასახელების გამხელა ცოცხალი თავით არ ისურვა.

ჟურნალისტებთან საუბარში მხოლოდ ის გაამხილა, რომ გუნდში „ქართული ოცნების“ მიერ დაწუნებულ დეპუტატებს არ მიიღებს. გავრცელებული ინფორმაციით, მის პარტიაში გაწევრიანებას სწორედ ასეთი ხალხი აპირებდა.

ამ პარტიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა დეპუტატმა ომარ ნიშნიანიძემაც, თუმცა ბოლომდე ისიც გაურკვევლობაშია. მას „ოცნების“ სახელით ქუთაისში სურს მაჟორიტარად კენჭისყრა.

რამდენიმე დღის წინ მას მეჭიაურმა სთხოვა, კარგად ჩამოყალიბდეს, რა უნდა. გახდება თუ არა ნიშნიანიძე ამ პარტიის წევრი, დღეს გავიგებთ.

თამაზ მეჭიაურის პარტიაში, ალბათ, ვიხილავთ სანდრო ბრეგაძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ დატოვა მინისტრის მოადგილის პოსტი.



სანდრო ბრეგაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მეჭიაური იმ ადამიანებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმს.

მინისტრის ყოფილი მოადგილის მტკიცებით, იქმნება ერთიანი, დიდი, მძლავრი ეროვნული ძალა, რომელიც ერთობლივი ძალებით მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში.

– ბატონ თამაზს ჩემთან ჰქონდა საუბარი არაერთხელ, შევხვდით კიდეც ერთი ერთზეც და ფართო ფორმატშიც. მეჭიაური ჩემი დიდი ხნის მეგობარია, ჩვენ ჯერ კიდევ 1999 წლის პარლამენტიდან ვმეგობრობთ, ერთად ვიყავით პარლამენტის დეპუტატები. ჩვენ შორის წლების განმავლობაში მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. რაც შეეხება პოლიტიკურ თანამშრომლობას, არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ამ საკითხზე საუბრები იყო, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

მან დააზუსტა, რომ საუბრები იყო არა მარტო მასთან, არამედ ბევრ სხვა ადამიანთანაც: საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებთან, ცნობილ პოლიტიკოსებთან, პარლამენტარებთან, ესენი ძირითადად არიან ის ადამიანები, რომლებიც უკომპრომისოდ ებრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმს.

– მოლაპარაკებები არის იმ ადამიანებთანაც, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ნაციონალურ მოძრაობასთან კოაბიტაციის რეჟიმის. ეს საუბრები იყო და გრძელდება დღესაც. რომ გითხრათ, რომ კონკრეტული საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ასე არ არის, მაგრამ სერიოზული თანამშრომლობის ჩანასახი უკვე არსებობს. საუბარია, შეიქმას ერთიანი, დიდი, მძლავრი ეროვნული ძალა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

მისივე თქმით, თანამშრომლობას ექნება პოლიტიკური პარტიის ფორმა, თუმცა ბრეგაძე არ გამორიცხავს კოალიციის რეჟიმში ურთიერთობასაც.

გავრცელებული ინფორმაციით, მეჭიაურის პარტიამ შესაძლოა ნინო ბურჯანაძესა და ირმა ინაშვილთანაც ითანამშრომლოს.

# „მემარცხენე ალიანსი“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

„მემარცხენე ალიანსი“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. პარტიის ლიდერები და მხარდამჭერები ილია ჭავჭავაძის ბიუსტთან შეიკრიბნენ და მედიას სამომავლო გეგმები გააცნეს.

როგორც „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერმა კახა ძაგანიამ აღნიშნა, ისინი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავენ და მათ საარჩევნო პროგრამაში ყურადღება გამახვილებული იქნება დასაქმებასა და განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე.

– ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ – ამ ლოზუნგით გამოვა „მემარცხენე ალიანსი“ ამომრჩევლის წინაშე., – განაცხადა კახა ძაგანიამ.



მედიანიუსი

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლება ცდილობს, ევროპას ჩვენზე უარი ათქმევინოს“

## ლევან ხაბეიშვილი: „აშშ-ის ელჩმა ამაზე მეტი რაღა უნდა გვითხრას“

შორენა მარსაგიშვილი

ერევა თუ არა აშშ-ის ელჩი საქართველოს საშინაო საქმეებში, ვისი დავალებით იცვლება საგარეო კურსი, რა ფორმებით უნდა მოხდეს თავისუფალი მედიის დაცვა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– აშშ-ის ელჩმა რუსთავი 2-თან დაკავშირებით საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ერთმა ნაწილმა ეს განცხადება ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად შეაფასა, მეორე ნაწილი დადებითად შეხვდა. თქვენ როგორ აფასებთ ელჩის განცხადებას?***

– ელჩის განცხადება არც ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევა ყოფილა და არც მოწოდება რევოლუციისკენ. ეს არის სუფთა რუსული პროპაგანდა, რომელსაც გარკვეული ჯგუფები ეწევიან. ძალიან სამწუხაროა, რომ მათ რიგებში არიან ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი სატელიტები. მათი განცხადებით, ელჩის საქმე არ არის, თუ რა ხდება ქვეყანაში.

***– ამ მოსაზრებას ძალიან ბევრი იზიარებს საქართველოში.***

– გაზიარებით ნამდვილად იზიარებენ, მაგრამ, მოდით, ისიც ვთქვათ, რას მოჰყვა ასეთი მკვეთრი განცხადება. თავისუფალ მედიასთან ბრძოლა რუსთავი 2-ით არ დაწყებულა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა რამდენიმე პოლიტიკური ტოკშოუ. ინგა გრიგოლიამ და ეკა მიშველაძემ პირდაპირ განაცხადეს, რომ ისინი პოლიტიკური ნიშნით გამოუშვეს. ამას დაამატეთ მაესტროს ამბები. ეს ყველაფერი სერიოზულ ეჭვს აჩენს. აშკარაა, რომ ხელისუფლება ცდილობს, ჩაერიოს სხვადასხვა მედიასაშუალების სარედაქციო ნაწილში. ამას დაამატეთ რუსთავი 2-ც და სახეზეა ბრძოლა თავისუფალი მედიის წინააღმდეგ.

***– „ქართული ოცნება“ რუსთავი 2-ს თავისუფალ მედიად არ მიიჩნევს და ყოფილი ხელისუფლების რუპორად მოიხსენიებს.***

– ასეა, ამტკიცებენ, რომ ეს მედიასაშუალება ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლდება.

***– თქვენი აზრით, ასე არ არის?***

– მოდით, გულწრფელად ვთქვათ, სულ მთლად თავისუფალი მედია ბუნებაში არ არსებობს. ყველას ჰყავს თავისი მეპატრონე. მათ თავიანთი სარედაქციო პოლიტიკა ექნებათ. ჩემთვის თავისუფალი მედია, იცით, რას ნიშნავს? როცა ხელისუფლება ვერ ერევა მის სარედაქციო საქმიანობაში. ამ მხრივ რუსთავი 2 ნამდვილად თავისუფალი მედიაა.

მედიის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით წინა ხელისუფლებამაც ბევრი შეცდომა დაუშვა. ეს შეცდომები იყო მათი შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი. სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათ შეცდომებზე ვერ ისწავლა და მედიის მიმართულებით უკიდურესად რადიკალურ ნაბიჯებს დგამს. ეს ნაბიჯები შეუმჩნეველი არ დარჩენია ამერიკის ელჩს და მისი განცხადება ადეკვატურია. ეს არ არის არც მოწოდება რევოლუციისკენ და არც საშინაო საქმეებში ჩარევა, მაგრამ მის განცხადებაში არის კონკრეტული მინიშნება.

***– რა მინიშნებაზე საუბრობთ?***

– დიპლომატები ერიდებიან პოზიციის მკვეთრად დაფიქსირებას. იან კელი იძულებული გახდა, მკვეთრად დაეფიქსირებინა პოზიცია, რითიც მიგვანიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს გადავიდა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა ევროპისგან ვიზალიბერალიზაციას ველოდებით. ამ ვითარებაში აშშ-ის ასეთმა მკვეთრმა განცხადებამ შესაძლოა საქართველო დააზარალოს. ამის მიუხედავად, მისი განცხადება არის მეგობრული რჩევა, რადგან, ევროპაში შესვლა თუ გვინდა, თავისუფალ მედიას ხელი არ უნდა შევუშალოთ.

„ქართული ოცნება“ ამ ყველაფერს კარგად აცნობიერებს და სწორედ ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად დააშავონ, რომ ევროპამ თავად თქვას უარი საქართველოზე. ამ ხელისუფლების შემხედვარეს, სხვა განცდა, უბრალოდ, არ მიჩნდება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ მართლაც სურთ, ევროპამ ჩვენზე უარი თქვას?***

– აბა, სხვანაირად რითი ავხსნათ მათი განცხადებები? „ქართულ ოცნებაში“ ბევრია არაკომპეტენტური, მაგრამ ისეთი სულელებიც არ არიან, ვერ ხვდებოდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს მათ განცხადებებს. როცა აშშ-ის ელჩის განცხადებაზე ვოლსკის ტიპის პოლიტიკოსები გამოვლენ და ამბობენ, ეს არის ჩვენს საქმეებში ჩარევაო, კარგად იციან, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. ასეთ განცხადებებს კვლავაც გააგრძელებენ, რადგან მათ არ სურთ ევროპაში ინტეგრაცია.

***– „ქართულ ოცნებას“ დეკლარაციის დონეზე უწერია, რომ მისი მიზანი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაა.***

– ეგ არის მხოლოდ დეკლარაცია, რომელსაც მხოლოდ ხელისუფლების ნაწილი იზიარებს. მათ შორის არის ხალხი, რომელიც საქართველოს მომავალს ევრაზიულ კავშირში ხედავს. გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე და თამაზ მეჭიაური ამაზე ღიად საუბრობენ. დანარჩენები სიტყვით ევროპულ არჩევანს უჭერენ მხარს, საქმით კი სულ სხვა რამეს აკეთებენ.

რუსთავი 2-ისა და საერთოდ თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნისთვის შესაძლოა ცუდად დასრულდეს. ამიტომაც ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ ფასად დავიცვათ რუსთავი 2. შესაძლოა, ვიღაცას აღიზიანებდეს ამ ტელეკომპანიის პოზიცია, მაგრამ ის არის თავისუფალი მედია, რადგან მის სარედაქციო პოლიტიკას ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.

***– სხვა მედიასაშუალებების დასაცავად თუ გამოხვალთ ქუჩაში?***

– რა თქმა უნდა. ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება თუ გვინდა, მაშინ აქ სიტყვის თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს. პირადად მე ძალიან არ მომწონს ირმა ინაშვილის ტელევიზია „ობიექტივი“. ეს ტელეკომპანიაც კონკრეტული პარტიის ინტერესებს ატარებს, მაგრამ ისიც უნდა დავიცვათ, რადგან ისიც თავისუფალი მედიაა. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ხელისუფლება ვერც მის სარედაქციო პოლიტიკაში ერევა. ნამდვილად გავაპროტესტებ, თუ ვინმე მის დახურვას მოინდომებს.



**„ხელისუფლებას არეულობა რომ არ სდომებოდა, კორცხელში მოჭიდავეების ნაცვლად მოჭადრაკეებს წაიყვანდა“**

***– ბიძინა ივანიშვილმა წინა კვირას სიამაყით აღნიშნა, ამდენი ტელევიზია, რამდენიც ახლა გაიხსნა, საქართველოში არასდროს ყოფილაო.***

– ეს არც ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა და არც – „ქართული ოცნების“. 21-ე საუკუნეა და ამ ეპოქაში ძალიან მარტივია სიხშირის დაჭერა და ტელევიზიის შექმნა. მოსწონს ვინმეს თუ არა, დღეს ყველაზე რეიტინგულია რუსთავი 2 და ამიტომაც ხორციელდება მასზე შეტევა. რაც შეეხება ბიძინას დროს გახსნილ უამრავ ტელევიზიას, არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მინდა, მაგრამ ბევრ მათგანს საკუთარი მეპატრონეებიც კი არ უყურებენ. ისინი ვერანაირ ამინდს ვერ შექმნიან. უტევენ იმათ, ვინც ყურებადი და რეიტინგულია.

ნაციონალურ მოძრაობას ამ მიმართულებით ჰქონდა პრობლემები და ცუდად დაამთავრა. ეჭვი მაქვს, არც ესენი დაამთავრებენ კარგად. მათი ერთადერთი შანსი ახლა სახის შენარჩუნებაა და ჯობია, მედიასთან ბრძოლას საერთოდ შეეშვან. ამან შესაძლოა საქართველოს ევროპული პერსპექტივა დააკარგვინოს. ბიძინა ივანიშვილს არ სურს ევროინტეგრაცია და მისი გუნდიც მუშაობს ამაზე.

ვიზალიბერალიზაციის მიღებაში სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის 22 მაისს ზუგდიდის რაიონში მომხდარი ინციდენტი. ეს არჩევნები არავისთვის ყოფილა არც საინტერესო და არც მნიშვნელოვანი. მას ინტერესი „ოცნების“ 40-მა კუნთმაგარმა შესძინა. მათი თავგამოდების წყალობით, ეს საკითხი დღეს ყველგან განხილვის საგანია.

კითხვის ქვეშ დადგა საპარლამენტო არჩევნების ბედიც. ჩვენ არ ვიცით, შეძლებს კი ხელისუფლება მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების ჩატარებას. რამდენიმე უბანზე თუ ასეთი შედეგი მიიღეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, როცა მთელ ქვეყანაში იქნება არჩევნები. ამაზე ეჭვები გაუჩნდა ევროპასაც. ვისაც სირაქლემის პოზიციაში ყოფნა სურს, ღმერთმა გაუმარჯოს და თავი ჩაყოს სილაში, მაგრამ ამ ინციდენტსაც თავისი მიზანი ჰქონდა. ცხადია, რომ არეულობა სურდათ, თორემ მოჭიდავეების ნაცვლად კორცხელში მოჭადრაკეებს წაიყვანდნენ.

***– საინტერესოა, რას იზამდნენ მოჭადრაკეები?***

– ცემა-ტყეპას ნამდვილად არ ატეხდნენ. წაიყვანეს ის ხალხი, ვინც იჩხუბებდა. ამ ბიჭებთან ყველაზე ნაკლებად მაქვს პრეტენზიები. პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც ყოველივე ამას ორგანიზება გაუკეთა. ამის ორგანიზატორი კი კახი კალაძე გახლავთ. ევროპისთვის ესეც გარკვეული სიგნალი იყო. იქ ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ აქ საპარლამენტო არჩევნები თავ-პირის ლეწვის ფონზე წავა. იან კელის განცხადება ამ ინციდენტსაც უკავშირდება და მან ყოველგვარი ცერემონიების გარეშე გაგვაფრთხილა, რომ თუ ევროპა გვინდა, მაშინ გონს უნდა მოვეგოთ.

***– თქვენი აზრით, მივიღებთ ვიზალიბერალიზაციას? ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე ქვეყანა თავს იკავებს.***

– „ქართულმა ოცნებამ“ ასე თუ გააგრძელა, ცხადია, არ მივიღებთ. ამ კოალიციაში ერთადერთი შედარებით პროდასავლური ძალა იყო რესპუბლიკური პარტია და ისიც წავიდა.

***– შედარებით პროდასავლურები რატომ არიან?***

– ეგრეა. მათ ბევრ კითხვაზე აქვთ პასუხი გასაცემი. ამის მიუხედავად, ისინი, სხვებთან შედარებით, ოდნავ პროდასავლურები იყვნენ. შესაბამისად, სახიფათოა „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება საგარეო კურსთან დაკავშირებით. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ აქ მთავარია ივანიშვილი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დასავლეთმა თავად გვითხრას უარი.

მერე გამოვლენ და იტყვიან, ამერიკას ვინ ეკითხება, ევროპელები ქართველობას გვართმევენო. იგონებენ მითებს იმის შესახებ, რომ ევროპა რაღაცებს გვაძალებს. პროპაგანდისტული მანქანა უკვე მუშაობს იმ მიმართულებით, რომ ევროპამ თავად გვითხრას უარი.

# რობერტ ჰამილტონი: „ტერიტორიული კონფლიქტები ნატოში წევრობას არ გამორიცხავს“

## „1955 წელს გერმანია ნატოს წევრი გახდა, თუმცა მისი ერთი მესამედი საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული“

ტერიტორიული კონფლიქტები ნატოში წევრობას არ გამორიცხავს.

ამის შესახებ ამერიკის არმიის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი რობერტ ჰამილტონი ამერიკის ხმისათვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

გამოცემა ამერიკელი სამხედრო ჩინოსნისგან დაინტერესდა, თუ რას უნდა ელოდოს საქართველო ვარშავის ნატოს სამიტზე და რამდენად მზად არის საქართველო ალიანსში გასაწევრიანებლად.

რობერტ ჰამილტონი ამბობს, რომ საქართველომ ყველა პირობა შეასრულა, პოლიტიკური თუ სამხედრო კუთხით, ალიანსში გასაწევრიანებლად.

– ჩემი შეფასებით, რომელსაც დამსწრე ამერიკელი მონაწილეები ეთანხმებოდნენ, ფაქტია, რომ საქართველომ ყველა პირობა შეასრულა პოლიტიკური თუ სამხედრო კუთხით ალიანსში გასაწევრიანებლად. როგორც დამსწრე მაღალი რანგის ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა შენიშნა, საქართველომ აღარაფერი უნდა დაუმტკიცოს ნატოს, – განაცხადა რობერტ ჰამილტონმა.

მისი თქმით, საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა ავღანეთში, ნატოს მისიაში, ასევე კოსოვოში, სადაც ნატოს მისია იდგა და წარსულში, ერაყშიც, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს მისია არ იბრძოდა, იქ ნატოს ბევრმა პარტნიორმა გაგზავნა ჯარები.

– კონფერენციის პირველ დღეს დაიხურა „ღირსეული პარტნიორის“ სამხედრო სწავლება, რაც ამერიკულ-ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სამხედრო წვრთნის პროგრამა იყო. ამის შემდეგ ქართულ შენაერთს ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა, რაც მას ნატოს ყველა მისიაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს, – აღნიშნა ამერიკის არმიის პოლკოვნიკმა.

რობერტ ჰამილტონი მიიჩნევს, რომ რთულია განსაზღვრო, რა მოხდება ვარშავის სამიტზე, თუმცა მას სჯერა, რომ ნატოს წევრი ქვეყნები ინდივიდუალურად უნდა შეთანხმდნენ ახალი წევრის მიღებაზე.

– საქართველოს გაწევრიანების გეგმა ნატოს ალიანსში 2008 წელს გამოცხადდა და ეს დღემდე ნატოს პოლიტიკად რჩება, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. თუმცა, ვფიქრობ, ახლა საქმე პოლიტიკური გადაწყვეტილების გამონახვაშია და თუ როგორ აღასრულებს ალიანსი საკუთარ განცხადებას საქართველოსთან დაკავშირებით, – განაცხადა ამერიკელმა სამხედრომ.

გამოცემა დაინტერესდა, შეუშლის თუ არა ხელს საქართველოში არსებული სეპარატისტული კონფლიქტები ნატოში გაწევრიანებას.

რობერტ ჰამილტონის თქმით, ტერიტორიული კონფლიქტები ნატოში წევრობას არ გამორიცხავს.

– ამ თემაზეც იყო კონფერენციაზე საუბარი. ნატოს ალიანსის გაფართოების სტრატეგიაში ნათქვამი არსადაა, რომ არსებული ტერიტორიული კონფლიქტები განსაზღვრავს ნატოში ახალი წევრების მიღება-არმიღებას. პირიქით, აქ ნათქვამია, რომ თუ კონფლიქტები არსებობს, ისინი ეუთოს სტანდარტებით უნდა მოგვარდეს, მით უმეტეს, რომ პრეცედენტიც არსებობს, როცა 1955 წელს გერმანია ალიანსის წევრი გახდა მაშინ, როცა მისი ერთი მესამედი საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არასდროს უთქვამს უარი გერმანიის მთლიან ტერიტორიაზე. ამდენად, არსებული კონფლიქტები არ წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების ერთადერთ კრიტერიუმს, – აღნიშნა ჰამილტონმა.

სამხედრო ჩინოსანმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველო შეეცადა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, უფრო მეტიც: გააკეთა ყველაფერი ურთიერთობების დასალაგებლად და მცირედი წარმატებაც ჰქონდა.

– თუმცა, ახლა საქმე არა იმდენად ორმხრივი კავშირების აღდგენასა და წარმატებაშია, რამდენადაც იმაში, თუ რამდენად არის მზად ნატოს ალიანსი, რუსეთის რეაქციას გაუმკლავდეს, რომელიც აუცილებლად მოჰყვება უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას, – განაცხადა რობერტ ჰამილტონმა.



**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველო აშშ-ის მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება

ნონა ცაბაძე

ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში საქართველო აშშ-ის მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება.

ამის შესახებ საუბარია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელშიც ტერორისტული საფრთხეებია შეფასებული. ანგარიშში 2015 წლის მდგომარეობაა მიმოხილული.

დოკუმენტში ცალკე თავი საქართველოს ეძღვნება. მასში აღნიშნულია, რომ საქართველო არის ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში გლობალური კოალიციის წევრი და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში აშშ-სთან მჭიდროდ თანამშრომლობს.

დოკუმენტში ასევე საუბარია იმის თაობაზე, რომ 2015 წელს საქართველომ ანტიტერორისტული კანონმდებლობა მიიღო და ქვეყანაში ტერორისტული საქმიანობის ბრალდებით დაკავებების სერია განხორციელდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, საქართველოს ხელისუფლების შეფასებით, აჭარასა და პანკისის ხეობიდან ექსტრემისტულ დაჯგუფებებში გასაწევრიანებლად 50-დან 100-მდე მოქალაქე გაემგზავრა.

ანგარიშში იმაზეცაა საუბარი, რომ გასულ წელს საქართველომ ანტიტერორისტული კანონმდებლობა გააძლიერა და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის მიზნით სერიოზული ბაზა შექმნა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მაღალ შეფასებას აძლევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიტერორისტულ დანაყოფებს და აღნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ისინი წამყვან როლს ასრულებენ და კარგად გაწვრთნილნი და ეკიპირებულნი არიან.

– საქართველოს მთავრობას ტერორიზმთან დაკავშირებული ინციდენტების გამოვლენის, აღკვეთისა და მათზე რეაგირების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები აქვს, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაყოფის შემდეგ არსებობს პრობლემები თანამშრომლობის, კოოპერაციისა და ინფორმაციის გაცვლის კუთხით, – ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველომ საზღვრების უსაფრთხოება გააუმჯობესა, რაც ნაწილობრივ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღების მიზანს უკავშირდება.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ აშშ-ის მნიშვნელოვანი დახმარებით საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახური უკეთესად არის აღჭურვილი ქვეყნის საზღვაო საზღვრების პატრულირებისთვის, გარდა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის სანაპიროსი.

დოკუმენტის თანახმად, გასულ წელს საქართველომ სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს ტრანსსასაზღვრო ტერორიზმის 115 შემთხვევის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველო ტერორიზმის ფინანსირებას აქტიურად ებრძვის, საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ საკითხზე კანონმდებლობაში ცვლილებები განახორციელა და საერთაშორისო რეკომენდაციები შეასრულა.

– აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთქმედების პარალელურად, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობს საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ ფორმატში, – ნათქვამია ანგარიშში.

◆ ◆ ◆



**„სამწუხაროა, რომ საფრანგეთი და გერმანია რუსეთს კოჭს უგორებენ“**

## მამუკა არეშიძე: „სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტი ვიზალიბერალიზაციას წინ წასწევს“




ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე დადებითად აფასებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნას და მიიჩნევს, რომ ამ დოკუმენტში ორი რამ არის მნიშვნელოვანი:

– ერთი, რომ აშშ ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც პარტნიორის მნიშვნელობას და მეორეა ის, რომ დადებითად აფასებს საქართველოს უსაფრთხოების სისტემების მუშაობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეფასებაა და კარგია, რომ ასეთი შედეგია მიღებული.

***– ოპონენტების მხრიდან გაჩნდა კითხვებიც, რამდენად დამსახურებულია ეს შეფასებები.***

– ძირითად ნაწილში შეფასება არის დამსახურებული. მართლაც შეიცვალა სიტუაცია და უსაფრთხოების სისტემები ბევრად უფრო გაიზარდა საქართველოში. ვგულისხმობ პირველ რიგში პოლიტიკური ისლამის საფრთხეს.

***– დასკვნაში საზღვრების დაცვის გაუმჯობესებაზეა საუბარი და ამას თქვენ იზიარებთ?***

– მეც სწორედ მანდ ვარ. ბუნებრივია, ბევრი რამე განპირობებული იყო ევროკავშირთან ხელმოწერილი დოკუმენტის გამო. ტაქტიკური მუშაობა საქართველოს მთავრობამ და უსაფრთხოების სისტემებმა წარმართეს ევროკავშირთან ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე – მომავალი ვიზალიბერალიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, შედეგიც შესაბამისი იყო, მართლაც კარგი შედეგი მივიღეთ. სასტარტო მდგომარეობა კარგია.

***– ანგარიშში ოკუპირებულ ტერიტორიებზეც არის ყურადღება გამახვილებული, რომ საქართველო ამ საზღვრებს ვერ აკონტროლებს. ამ კუთხით რა დაბრკოლებები იქმნება?***

– ოკუპირებული ტერიტორიების კონტროლი, რასაკვირველია, არ ხერხდება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს აქვთ ოპერატიული ინფორმაციის მიღებისა და, აქედან გამომდინარე, საფრთხის პრევენციის საშუალება, ყოველ შემთხვევაში, მაღალი ხარისხით.

***– თუმცა ვნახეთ, რაც მოხდა ხურჩაში.***

– ასეთ შემთხვევებს წინასწარ ვერ განსაზღვრავ, თუმცა საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური ტერაქტის პრევენციის საშუალება მაღალი ხარისხით უნდა ჰქონდეთ საქართველოს სპეცსამსახურებს. ასევე მათ შეუძლიათ რისკებისა და გამოწვევების პრევენცია. საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობაში არის გარკვეული ხარვეზებიც.

***– რა სახის და რითია ეს გამოწვეული?***

– ეს განპირობებულია ბევრი ფაქტორით, მათ შორის იმით, რომ წინა ხელისუფლებამ ეს სამსახურები პოლიტიკურ პოლიციად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული აქტივობები, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზეც იყო, ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა, რომ იყოს.

უსაფრთხოების სამსახური და განსაკუთრებით ის დანაყოფები, რომელთაც ეხება ანტიტერორისტული საქმიანობა, უნდა იყოს მთლიანად კონცენტრირებული ამ საქმეზე და არ უნდა იყოს პოლიტიკაში ჩართული. გარდა ამისა, პროფესიონალი კადრების სიმცირე ყოველთვის იგრძნობოდა სპეცსამსახურებში და ამ პროფესიული კადრებით გაძლიერებაა საჭირო ამ სპეცსამსახურებისა.

***– კონკრეტულად რა იგულისხმება პროფესიულ კადრებში? რა კუთხით უნდა გამახვილდეს ყურადღება?***

– პროფესიულ კადრებში ვგულისხმობ, პირველ რიგში, ანალიტიკოსებს, რეგიონის მცოდნეებსა და ასე შემდეგ.

***– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს შეფასებები რამდენად წაადგება საქართველოს ვიზალიბერალიზაციის კუთხით? ვხედავთ, რომ საკითხი კიდევ ერთხელ გაჭიანურდა. არც იმას გამორიცხავენ, რომ შემოდგომისთვის გადაიდოს. წაგვადგება რამეში ამ კუთხით?***

– რასაკვირველია, საქმეს წინ წასწევს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გერმანიისა და საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, მათი ბიუროკრატიული აპარატები, მაქსიმალურად ცდილობენ, ანგარიში გაუწიონ რუსეთის ინტერესებს. როდესაც ლაპარაკია, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციამ შეიძლება გარკვეული საფრთხეები შექმნას და როდესაც ევროპელები ამას ლაპარაკობენ, ეს არის თვალთმაქცობა.

***– რატომ არის თვალთმაქცობა?***

– იმიტომ, რომ საქართველო უკრაინა არ არის, მე ამ შემთხვევაში ხალხის რაოდენობას ვგულისხმობ. ევროპა ისედაც მოცული აქვს აფრიკიდან და აზიიდან ჩასულ უამრავ მიგრანტს და სამი მილიონი ქართველი, სულ ერთ დღეს რომ წავიდეს ყველა, მაინც ვერ შექმნის მთელი ევროპის მასშტაბით ისეთ საფრთხეს, რომელსაც მიზეზად იშველიებს ზოგიერთი ევროპელი ბიუროკრატი.

***– მაშინ რა ხდება?***

– ეს არის რუსეთის ინტერესებისთვის კოჭის გაგორება. რუსეთს ძალიან სერიოზული ლობისტური ჯგუფები ჰყავს ევროპულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში და სწორედ იქიდან გამომდინარეა ეს ამბავი.

აქედან ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: აშშ-ის დეპარტამენტის მიერ შექმნილი დოკუმენტი კარგი და დამატებითი არგუმენტია ქართული მხარისთვის, მაგრამ გადამწყვეტი ვერ იქნება, იმიტომ, რომ მიუხედავად ამერიკელების დიდი ძალისხმევისა, ვერც ნატოსთან დაკავშირებულმა თემამ წაიწია წინ და ვერც ევროკავშირთან დაკავშირებულმა თემამ. ვიზალიბერალიზაციის თემასთან დაკავშირებით მით უმეტეს პრობლემები იქნება.

***– ანუ რუსეთის როლი აქ გადამწყვეტია?***

– რასაკვირველია, გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვესმის, რუსეთს საქართველო არ აინტერესებსო, ეს ასე არ არის. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მისთვის უმნიშვნელოვანესია სამხრეთ კავკასია და მისი საკვანძო ქვეყანა – საქართველო. ამიტომ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ რუსული კონტროლი იყოს მაქსიმალური.

***– ამ კუთხით რამდენად დაიძლევა პრობლემა, რომელსაც რუსეთი ჰქვია?***

– ვერ გეტყვით, დაიძლევა თუ არა. ქართული დიპლომატიის მუშაობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი, ვიდრე შესაბამისი ევროპული სტრუქტურები შვებულებაში წავიდოდნენ. იქ ტიტანური სამუშაოა. ვნახოთ, რა გამოვა ამ ამბიდან.

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი ჩამოსვლისთანავე უნდა დააკავონ“

ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაძლიერდა. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ნაცმოძრაობა სერიოზულ კრიზისშია. მისივე აზრით, გასატარებელია ზომები ნაცმოძრაობის რეჟიმის იმ წარმომადგენლების დასაკავებლად, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.




**„ნაციონალებმა ისტერიკა გააძლიერეს“**



მარიამ მჭედლიშვილი

**ანზორ აბრალავა:**

– ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას ვერ ვამჩნევ. ნაციონალებმა გააძლიერეს ისტერიკა, რომელშიც ისინი დიდი ხანია იმყოფებიან. ისინი თავიანთ სასარგებლოდ ვერც კორცხელის ამბებს გამოიყენებენ. იქ არასასიამოვნო მოვლენები მოხდა. ერთი რამ გამკვირვებია – თუ ბოკერიას აქვს კორცხელში შუალედური არჩევნების დროს ჩასვლის უფლება, ამას რომელიმე სპორტსმენს რატომ უკრძალავენ? ისე, რა პირით ჩადის ბოკერია სამეგრელოში? 1992 წელს იქ ცნობილმა ფორმირებებმა 27 სახლი გადაწვეს და სხვა ბევრი სისასტიკე ჩაიდინეს. გიგა ბოკერია და გოკა გაბაშვილი მაშინ სწორედ ამ ფორმირებებთან იყვნენ. საერთოდ, ბოკერიას, გაბაშვილისა და სხვა ნაციონალების ხალხში გამოჩენა იგივეა, რომ ხარს წითელი ქსოვილი აუფრიალო.

***– ითვლება, რომ ნაცმოძრაობას სამეგრელოში მხარდაჭერა აქვს.***

– ეს არის სიცრუე. ამას ვამბობ, როგორც ადამიანი, რომელსაც ამ კუთხესთან კავშირი აქვს. შეიძლება რომელიმე პატარა უბანზე აქვს მცირე უპირატესობა ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ მთლიანად სამეგრელოში ასეთი მხარდაჭერა გამორიცხულია. არანაირი ნდობა სააკაშვილის პარტიას არ გააჩნია.

***– კორცხელის ინციდენტს ნაციონალები მაინც იყენებენ.***

– ვერაფერსაც ვერ იყენებენ! ხალხს როგორ მოატყუებენ? საერთოდ, ნაციონალები ყველა თემას იყენებენ რევოლუციის მოსამზადებლად. ნოემბერში არ გამოუვიდათ რევოლუცია. ამის შემდეგ ახალი მცდელობები აქვთ. ამ ყველაფრის სცენარისტია სააკაშვილი. მომავალი საპარლამენტო არჩევნების გაყალბება და შესაბამისი პროტესტი უკვე ნაცმოძრაობის მხრიდან ბევრჯერაა დაანონსებული. მათი პრობლემაა ის, რომ ხალხი ვერ გამოჰყავთ. ნაციონალების კიდევ ერთი მიზანია თავიანთი მრავალრიცხოვანი სასტიკი და არაადამიანური დანაშაულების გადაფარვა.

***– გადაფარვა აუცილებელი გახდებოდა მაშინ, რომ ვინმე აპირებდეს პასუხის მოთხოვნას ამ დანაშაულებზე.***

– არც ასეა საქმე. ამ სამიოდე დღის წინ დავესწარი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას მოხსენების პრეზენტაციას. ეს იყო სააკაშვილის მმართველობის წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ნაშრომი. ის რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეგზავნება. სამწუხაროა, რომ ტელევიზიებმა არ გააშუქეს ეს მოვლენა. ეს ან არაპროფესიონალიზმის ბრალია, ან ვიღაცები შეგნებულად ჩქმალავენ ამ საკითხს.

***– ნაცმოძრაობა აქტიურობს რუსთავი 2-ის საკითხშიც და აცხადებს, რომ ხელისუფლებას უნდა ამ ტელევიზიის ხელში ჩაგდება.***

– 21-ე საუკუნეში სიტყვის თავისუფლებას ვერ ჩაახშობ. იზოლირება წარმოუდგენელია. თუ დახურავ ან გადააკეთებ ერთ არხს, ინფორმაცია სხვა საშუალებებიდან გავრცელდება. ხელისუფლებას ეს არ სჭირდება. იმაზე რატომ არ არის ხმაური ატეხილი, რომ რუსთავი 2 ნაცმოძრაობის იდეოლოგიური მანქანაა? მისი დირექტორი ნიკა გვარამია საერთოდ არაადეკვატურად იქცევა.

***– კერძოდ?***

– ის ძალიან გამომწვევად მოქმედებს და ადამიანებს გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებს. გვარამიას უნიჭო გამოხდომები საზოგადოებაში აჩენს კითხვებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

***– იქნებ სცენარი ითვალისწინებს გამომწვევ მოქმედებებს?***

– სააკაშვილი ათასნაირ სცენარს ამუშავებს, მაგრამ გვარამია ისე იქცევა, საეჭვოა, საღ გონებაზე იყოს. ის ახლა სიბრალულის ღირსია. ისე, ყოფილ პროკურორ ნიკა გვარამიას სერიოზული დანაშაულები აქვს ჩადენილი. კანონის საფუძველზე მისთვის

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ლევან მურუსიძე: „ბავშვის მკვლელს 5 წელი დავუკელი, მაგრამ ამაზე არავინ მეკითხება“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ დღეს სასამართლო სისტემა არც ხელისუფლების გავლენის ქვეშ არის, არც ოპოზიციური პარტიებისა და არც – მურუსიძის.

***– ბატონო ლევან, სასამართლო სისტემის რეფორმირების მესამე ტალღა, არასამთავრობო სექტორის თქმით, ყოვნდება. რა არის მისი შეფერხების რეალური მიზეზი?***

– ყოვნდება თუ არ ყოვნდება, აქ მურუსიძის როლი რაში მდგომარეობს? პარლამენტის, პატივცემული დეპუტატების გადასაწყვეტია, როდის რას მიიღებენ. არის სტრატეგია, რომ გადავდგათ ისეთი ნაბიჯები და დავსახოთ ისეთი გეგმები, რომლებიც საქართველოში მართლმსაჯულების გაძლიერებასა და დამოუკიდებლობას წაადგება.

ამისთვის უკვე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, დაკომპლექტდება კომისიები და გამოჩნდება, რა შედეგს მივიღებთ.

***– გასულ კვირას კიდევ ერთხელ აქტუალური გახდა თქვენი და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრის ფაქტი. როდის იყო ეს შეხვედრა და ამ შეხვედრაზე კონკრეტულად რაზე იყო საუბარი?***

– ზუსტი თარიღი არ მახსოვს, მაგრამ იმ დროს იყო შეხვედრა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო. მე დავაყენე მთელი რიგი საკითხები, განსაკუთრებით საუბარი ეხებოდა მოსამართლეთა დაბალ სახელფასო ანაზღაურებას.

მაშინ მოვითხოვე და განვაცხადე, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი კომპონენტია ის, რომ მოსამართლეთა კორპუსი იყოს უზრუნველყოფილი. მთელ რიგ საკითხებზე ვისაუბრეთ, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას შეეხებოდა. ზოგადად, ამ შეხვედრიდან ის შედეგი მივიღეთ, რომ მოსამართლეთა კორპუსს ანაზღაურება მოემატა.

***– თქვენ რა სტატუსით შეხვდით?***

– მე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელიც არჩეული ვიყავი მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. როდესაც მე სტატუსი არ მქონია, არავისთან ოფიციალური შეხვედრა არ მქონია. ეს შეხვედრა არ ყოფილა დამალული. ეს იყო ოფიციალური შეხვედრა, რომელიც ტელევიზიით გაშუქდა.



**„მოსამართლე ნათია გუჯაბიძის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა“**

***– ამ შეხვედრიდან უფრო საინტერესოა, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით რა გარანტიები მიიღეთ, როგორი იყო ივანიშვილის პოზიცია.***

– მე შემიძლია გითხრათ სრული პასუხისმგებლობით, რომ დღეს სასამართლო არ არის არც ხელისუფლებისა და არც ოპოზიციური პარტიების გავლენის ქვეშ. სასამართლო დღეს არ არის, როგორც ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსი აცხადებს, მურუსიძის გავლენის ქვეშ.

***– ვისი გავლენის ქვეშ არის?***

– სასამართლო დღეს დამოუკიდებელია. შეიძლება ჩვენს მუშაობაში არის გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს ხარვეზები არ არის განპირობებული იმით, რომ სასამართლოზე ვინმე ზეგავლენას ახდენს. რაც შეეხება ხარვეზებს, მაგალითად, საქმეების დროულ განხილვას, გადაწყვეტილების უფრო მეტ დასაბუთებას, ამ საკითხებზე სამუშაო გვაქვს, მაგრამ ამას კავშირი არ აქვს დამოუკიდებლობასთან.

დღეს არსებობს კარგი ტენდენცია, რომ სასამართლო დამოუკიდებლად მუშაობს, მაგრამ ახლა ჩვენ წინაშე დგას მთავარი ამოცანა, რომ ეს გადავაქციოთ ტრადიციად. საქართველოს არასდროს ჰქონია დამოუკიდებელი სასამართლოს ტრადიცია, რის დასამკვიდრებლადაც უნდა ვიზრუნოთ.

***– არასამთავრობო ორგანიზაციები გავლენებზე მიუთითებენ. ამაზე რა არგუმენტი გაქვთ?***

– მე არ ვამბობ, რომ სასამართლო დღეს იდეალურია და ევროპული ქვეყნების სტანდარტებს, ევროპული სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს შეესაბამება. ვინაიდან ეს დამოუკიდებლობა ამჟამად მყიფეა, შესაძლებელია, ეს პროცესი შეტრიალდეს. ამიტომ ყველა უნდა შევეცადოთ, რომ ის კარგი ტენდენციები, რომლებიც მიმდინარეობს, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ.

ის სასამართლო კორპუსი და ის მოსამართლეები, რომლებიც დღეს მართლმსაჯულებას აღასრულებენ, ღირსეული ადამიანები არიან. მჯერა, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკითხს. საზოგადოებას ვპირდები, რომ ამ მოსამართლეთა კონტინგენტით საქართველო ერთხელ და სამუდამოდ მიიღებს დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას.

***– წინა ხელისუფლების მმართველობის დროს სასამართლო სისტემის მუშაობაში რა სახის ჩარევა იყო?***

– გეტყვით. ეს იყო პირდაპირ განხორციელებული საკანონმდებლო შტურმი. მაგალითად, მოსამართლეს უფლება ჰქონდა, საპროცესო შეთანხმების დროს სასჯელი დაეკლო ბრალდებულისთვის. შემდეგ, როდესაც არ მოეწონათ, რომ მოსამართლეები სასჯელს ცვლიდნენ და უკლებდნენ, კანონში ცვლილება შეიტანეს და განაცხადეს, რომ საპროცესო შეთანხმების დროს სასჯელის მოკლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამაზე პროკურორთან მოხდება შეთანხმება.

**„ივანიშვილთან ჩემი შეხვედრის შემდეგ მოსამართლეებს ხელფასი გაეზარდათ“**

***– კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით რა ხდებოდა?***

– არ არსებობს ქვეყანა, სადაც სასამართლო სისტემა 5 წუთში, თუნდაც 1 წელიწადში აშენდება. სასამართლოს დამოუკიდებლობა არის პროცესი. თავის დროზე იყო პრობლემები, მაგრამ ბევრი პრობლემა მოგვარდა.

***– თქვენ რას აკეთებდით ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, ღიად ამბობდით ამის შესახებ?***

– მე რიგითი მოსამართლე ვიყავი და სასამართლოს პრობლემებზე ოფიციალურ დონეზე შეხვედრები დავიწყე მხოლოდ მაშინ, როდესაც კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩეული გავხდი. დღევანდელი სასამართლო გაცილებით უკეთესია, ვიდრე ადრე იყო სტატისტიკითაც და ყველაფრითაც.

***– ბატონო ლევან, გირგვლიანის საქმეზე გქონდათ საუბარი ივანიშვილთან?***

– არა. გირგვლიანის საქმეზე მთელ საზოგადოებას ვეუბნები, რომ კანონიერი გადაწყვეტილება მაქვს მიღებული. 6 თვის დაკლებაზეა საუბარი. მქონია შემთხვევა, როდესაც მკვლელებისთვის, რომელთაც ანგარებით მოუკლავთ დედა და მცირეწლოვანი ბავშვი, 5 წელიც მომიკლია, მაგრამ არავინ დაინტერესებულა, რატომ მოვუკელი 8 წლის ბავშვის მკვლელებს 5 წელი! მორალურად შეიძლება არ უნდა დაჰკლებოდათ, მაგრამ კანონი ამას მავალდებულებდა.

პატარა ბავშვის მკვლელს დავუკელი 5 წელი. მე ვარ მოსამართლე, შეიძლება, ჩემი გადაწყვეტილებები არ ეთანხმებოდეს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრს, შეუცდომელი არავინ არის, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დარწმუნებული ვიყავი, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მივიღე აღნიშნულ საქმეზე, ერთადერთი კანონიერი და სწორი გადაწყვეტილება იყო, არა სამართლიანი, მაგრამ – კანონიერი.



**„საქართველოს არასდროს ჰქონია დამოუკიდებელი სასამართლოს ტრადიცია, რომლის დასამკვიდრებლადაც უნდა ვიზრუნოთ“**

***– მოსამართლე ნათია გუჯაბიძესთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ? რამდენად კანონიერად იქცეოდა მოსამართლე?***

– მე ვარ შეზღუდული კანონის თანახმად. სადისციპლინო წარმოება არის ისეთი წარმოება, რომლის გაჟღერების უფლება არ მაქვს. საბჭომ რა გადაწყვეტილებაც მიიღო საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, არის ის, რომ მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.

***– ბინა ჰქონდა და მაინც იღებდა სახელმწიფოსგან ბინის ქირას?***

– ვერაფერს გეტყვით.

***– ბატონო ლევან, ეს გარემოება საქმიდან აცილების საფუძველი შეიძლება იყოს?***

– საქმეს მოსამართლეთა კოლეგია განიხილავს და ეს თემა მე საერთოდ არ მეხება, ამ პროცესში საერთოდ არ ვერევი.

# პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა მძიმე კატეგორიის დანაშაული ხდება

პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებს, რომლითაც კოდექსს ახალი 157-ე მუხლში (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) დაემატა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტი 80 ხმით მიიღეს.

ცვლილებების თანახმად, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობა მკაცრდება და შესაბამისი ქმედება მძიმე კატეგორიის დანაშაული ხდება.

პროექტის მიხედვით, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე.




პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით იქნება დასჯადი თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი ანგარებით, არაერთგზის გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას – თავისუფლების აღკვეთით 6-დან 9 წლამდე.

ამასთან, პროექტის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ამ საიდუმლოს დაცვა ევალებოდა ან რომელმაც აღნიშნული ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 10 წლამდე ვადით.

ამასთან, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება/შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც აღნიშნული მასალა საგამოძიებო ორგანოებს გადასცა და ჩადენილი/მოსალოდნელი სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია ამ გზით მიაწოდა.

მედიანიუსი

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი ჩამოსვლისთანავე უნდა დააკავონ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

აქამდე უნდა მოეთხოვათ პასუხი.

რუსთავი 2 ტრიბუნას უთმობს ირინა სარიშვილს, რომელიც 2006 წელს და სხვა დროსაც ღიად ცდილობდა რუსეთის ინტერესების გატარებას. დღეს სარიშვილი, ისევე, როგორც ბაჩუკი ქარდავა, ნაციონალებთან არის. სარიშვილი ქირქილებს „ქართული ოცნების“ ახალ წევრ მამუკა მდინარაძეზე და ამტკიცებს, თითქოს მისი პოლიტიკური კარიერა ერთ დღეში დამთავრდა, იმიტომ რომ დებატი წააგო. სინამდვილეში, ესაა ნიჭიერი და წესიერი იურისტი. მას არაფერი წაუგია. ასეთები „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უნდა მოიზიდოს.

***– განახლებული სია გამოაქვეყნა ნაცმოძრაობამაც.***

– რაში მდგომარეობს სიის განახლება? პირველ ნომრად ჩასვეს კაცი, რომელიც ადამიანებს მოუწოდებდა, დანა-ჩანგლით შეებრძოლეთ რუსეთის არმიასო. ათეულში ჩასმული ჰყავთ ქვეყნის ეკონომიკის ალ კაპონე, დისკრედიტებული რომან გოცირიძე. ნაცმოძრაობა განახლებული კი არა, „განაგლებულია“. სააკაშვილიც გვემუქრება, ჩამოვალო. უკრაინაში ის არავის სჭირდება. როგორც კი აქ ფეხს ჩამოადგამს, ის უნდა დააკავონ. მის საწინააღმდეგოდ, ისევე, როგორც სააკაშვილის გუნდის სხვა წევრების წინააღმდეგ, სერიოზული სამხილები და დოკუმენტები არსებობს. დროა, ხელისუფლებამ სამართალი აღასრულოს და გადამჭრელ ზომებს მიმართოს.

არ შეიძლება, გარკვეულ პირებს დანაშაული ეპატიოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან. მაშინ, გამოუშვათ ციხეებიდან პატიმრები! მათ დიდ უმრავლესობას იმაზე ბევრად ნაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმს. ნაციონალების ჯალათების არაადამიანურ ქმედებებთან შედარებით, კორცხელის ინციდენტიც არაფერია. საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობა ვიცი. ისე ნუ იზამენ, რომ ხალხმა რევოლუ-



ცია მოუწყოს ნაცმოძრაობას!

ხელისუფლებას ყურადღება მართებს. სარწმუნო წყაროებით, საქართველოში სააკაშვილმა შეიარაღებული ჯგუფები გამოაგზავნა. ისინი არეულობების მოწყობას ნაციონალებთან ერთად შეეცდებიან.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ახალსოფლის მთებში, სავარაუდოდ, შარშან დაკარგული მონადირის ცხედარი იპოვეს

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მთებში მაშველები შარშან დეკემბერში დაკარგული მამაკაცების ცხედრებს ეძებენ.

სოფლიდან დაახლოებით 40 კილომეტრში ერთი ცხედარი, იარაღი და ზურგჩანთა მწყემსმა ნახა. ამის შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ გარდაცვლილი ერთ-ერთი ის მონადირე იყო, რომელიც გასულ წელს ლაგოდეხის მთებიდან გაუჩინარდა.

ახალსოფლის რწმუნებულ თემურ სამყურაშვილის ინფორმაციით, მაშველები ამ დრომდე ვერ მისულან მწყემსის მიერ აღმოჩენილ ცხედრამდე უამინდობის გამო.

მედიანიუსი

# ლეიბორისტული პარტია მსხვილ ბიზნესმენებს 30.000 ლარს სთხოვს



ლეიბორისტული პარტია მსხვილ ბიზნესკომპანიებს დახმარების თხოვნით მიმართავს.

როგორც შრომის პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, მათ იმედი აქვთ, რომ ბიზნესმენები სასამართლოს მიერ დაწესებული 30 ათასი ლარის შეგროვებაში დაეხმარებიან.

მისი თქმით, ელექტროენერგიის საფასურთან დაკავშირებით ექსპერტიზის ჩატარებისთვის სწორედ ეს თანხა დაასახელა გუშინ საქალაქო სასამართლომ და მის შესაგროვებლად პარტიას 10-დღიანი ვადა მისცა.

საუბარია ლეიბორისტული პარტიის მიერ ერთი წლის წინ ქვეყანაში ამჟამად მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფის გასაჩივრებაზე. შრომის პარტიის მტკიცებით, დენის თანხა ხელოვნურად არის გაზრდილი.

– სასამართლომ ექსპერტიზის ჩატარების საფასური 30 ათასი ლარი დააკისრა ლეიბორისტულ პარტიას, რისი გადახდის საშუალებაც, სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია. მივმართავთ საქართველოში მოქმედ მსხვილ ბიზნესმენებს, ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება შედის არა მხოლოდ მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებში, არამედ მნიშვნელოვანია თავად ბიზნესისათვის. ამდენად, ერთხელ მაინც გამოიჩინონ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და სასამართლო ექსპერტიზის ხარჯები დაფარონ თავად, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

**მედიანიუსი**

# დემოკრატიული მოძრაობა ხელისუფლებას კუთვნილი სარეკლამო დროის წართმევაში ადანაშაულებს

დემოკრატიული მოძრაობა პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. მედიანიუსი მას უცვლელად გთავაზობთ.

– საქართველოს პარლამენტმა გუშინ უპრეცედენტო დარღვევა და უკანონობა განახორციელა. 78 დეპუტატმა პირველი მოსმენით მიიღო საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიულ მოძრაობას, პატრიოტთა ალიანსსა და ლეიბორისტულ პარტიას ყველა კანონის, მათ შორის კონსტიტუციის დარღვევით უნდა წაართვან მათი კუთვნილი უფასო სარეკლამო დროის ნახევარზე მეტი და უსირცხვილოდ გადაუნაწილონ იმ ერთპროცენტიან პარტიებს, რომლებმაც მხოლოდ ივანიშვილის ხათრით მოიპოვეს დეპუტატის მანდატები.

78-მა დეპუტატმა, მხოლოდ და მხოლოდ იმ პრივილეგიით, რომ აქვთ ხმის მისაცემი პულტები, მხარი დაუჭირა არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის კუთვნილი საარჩევნო რესურსის წართმევასა და სრულიად დაუმსახურებლად მის სხვისთვის ჩუქებას.

ასეთი რამ არ უკადრებია დღემდე არცერთ მთავრობას. „ქართულმა ოცნებამ“ ამ საქციელით ხმამაღლა განაცხადა, რომ კანონი მისთვის არაფერს წარმოადგენს, კანონი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“, რესპუბლიკურმა პარტიამ, თავისუფალმა დემოკრატებმა, მრეწველებმა, კონსერვატორებმა და ფორუმმა ის საკუთარ თავზე მოირგონ.

დემოკრატიული მოძრაობა უსვამს კითხვას, ყველა იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერს, რომელმაც სხვისი მდგომარეობის გაუარესე-




ბის ხარჯზე გადაწყვიტა საკუთარი კეთილდღეობის მოწყობა. დავით უსუფაშვილს, ირაკლი ალასანიას, გოგი თოფაძეს, ზვიად ძიძიგურს, გუბაზ სანიკიძეს:

„ბატონებო, უსამართლო საქციელი თქვენთვის უცხო რომ არ ყოფილა, გუშინდელი კენჭისყრით სრულიად საქართველომ დაინახა. გვაინტერესებს, შეძლებთ თუ არა ხმამაღლა განაცხადოთ, რომ თქვენთვის მიუღებელია ყოველივე ეს და თქვენ თანახმანი არ ხართ, იხეიროთ იმით, რომ სხვას მოჰპაროთ მისი კუთვნილი საარჩევნო რესურსი!!!

დემოკრატიული მოძრაობა მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიას, ექსპერტებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს – დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია ამ უპრეცედენტო უკანონობასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არის შანსი, მეორე მოსმენისთვის კანონი შეიცვალოს და ელემენტარული სამართლიანობა აღდგეს.

დემოკრატიულ მოძრაობაში ვთვლით, რომ შესაძლებელია მოიძებნოს კომპრომისი, ისე, რომ არ დაზარალდეს არავინ და უფასო რეკლამით ისარგებლოს იმ ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმაც, რომლის ინტერესების დაკმაყოფილებისთვისაც პარლამენტში საარჩევნო კოდექსით მანიპულირება მიმდინარეობს. ამისათვის არსებობს რამდენიმე გზა:

1) „ოცნების“ კოალიციაში შემავალმა ექვსმა პარტიამ ერთად გადალახა ბარიერი, ხოლო დემოკრატიულმა მოძრაობამ, პატრიოტთა ალიანსმა და ლეიბორისტულმა პარტიამ მარტომ გადალახა იგივე ბარიერი. სამართლიანი იქნება, რომ ბლოკში ჩამონათვალში პირველ ადგილზე მყოფი სუბიექტის კუთვნილი დრო გადაინაწილონ ბლოკში შემავალმა დანარჩენმა სუბიექტებმა.

2) კანონით დაემატოთ უფასო სარეკლამო საეთერო დრო ტელეკომპანიებს, ოღონდ ბიუჯეტმა აუნაზღაუროს მაუწყებლებს აღნიშნული დამატებული დრო, რათა არ დაზარალდეს მათი საეთერო ბადე.

ერთმნიშვნელოვანია, რომ თუ ხელისუფლება და საპარლამენტო ოპოზიცია არ შეიცვლის პოზიციას, არ შეიტანს ცვლილებებს და დღეს არსებული რედაქციით მიიღებს კანონს, ეს იქნება პოლიტიკური კრიმინალი, რომელიც საარჩევნო გარემოს კიდევ უფრო გააუარესებს და ისედაც დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო კონფრონტაციულს გახდის, რაც ჩვენს ქვეყანას უკვე მერამდენედ წაიყვანს რადიკალიზაციის გზით, – ნათქვამია ნინო ბურჯანაძის პარტიის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# მიხეილ სააკაშვილი: „ბალცეროვიჩი კორუმპირებულთა დაქირავებული გამთეთრებელია“



უკრაინელი ექსპერტების აზრით, სწორედ გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის დაუფიქრებელი განცხადებების შედეგია ის, რომ 26 მაისს გენერალურმა პროკურატურამ ოდესის ოლქის ადმინისტრაციის შემოწმება და გუბერნატორის მრჩევლის, საქართველოს ყოფილი გენკონსულისა და „ოდესის საკეთილდღეო“ ფონდის ხელმძღვანელ თემურ ნიშნიანიძის სახლის ჩხრეკა ჩაატარა, რაც, აშკარაა, პეტრო პოროშენკოსთან შეთანხმებით განხორციელდა.

27 მაისის საღამოს მიხეილ სააკაშვილი ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის სავიკ შუსტერის ტელეპროგრამა „Шустер LIVE“-ში გამოვიდა და კვლავ უარყოფითად შეაფასა უკრაინის მთავრობის საქმიანობა. საქართველოს ექსპრეზიდენტის კრიტიკის ობიექტი გახდა აგრეთვე უკრაინის მთავრობის მრჩეველი, ცნობილი პოლონელი ეკონომისტ-რეფორმატორი ლეშეკ ბალცეროვიჩიც, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა „კორუმპირებული რეჟიმების მიერ დაქირავებული გამთეთრებელი“ უწოდა:

– მე ლეშეკ ბალცეროვიჩს პირადად ვიცნობ. როცა ედუარდ შევარდნაძის მთავრობა კორუფციაში ჩაეფლო და სიტუაცია ისეთი იყო, როგორიც ახლა უკრაინაშია, იგი ამერიკელებმა დიდი ფულით დაიქირავეს და საქართველოში ჩამოიყვანეს შევარდნაძისათვის რჩევების მისაცემად. ჩამოვიდა და კორუფციის გამართლება და გათეთრება დაიწყო. მან მაშინ ჩვენ, ახალგაზრდა რეფორმატორებს, რომლებიც სიტუაციის გამოსწორებას ვცდილობდით, მხარი არ დაგვიჭირა. დღესაც ლეშეკ ბალცეროვიჩი კორუმპირებული რეჟიმების მიერ დაქირავებული გამთეთრებლის როლს ასრულებს. იგი ასეთი საქმით საკუთარ ავტორიტეტს ღუპავს, – განაცხადა სააკაშვილმა.



**ნიუსპრესი**

# ევროკავშირი მიგრაციის ზრდის შიშით სავიზო რეჟიმის ლიბერალიზებას ამუხრუჭებს




გავლენიანი ბრიტანული სააგენტო „როიტერის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია ოთხშაბათს, პირველ ივნისს, გამართული ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების თათბირის შესახებ, რომელზეც საქართველოსთვის (თურქეთთან, უკრაინასთან და კოსოვოსთან ერთად) უვიზო რეჟიმის მიცემის საკითხს განიხილავდნენ (ავტორი – გაბრიელა ბაჩინსკაია).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

როგორც პუბლიკაციაშია ნათქვამი, ევროკავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, შეუთანხმებლობის გამო, ამ საკითხის განხილვა სამომავლოდ გადადეს. მთავარ პრობლემას მიგრაციის საფრთხე წარმოადგენს. „როიტერმა“ დიპლომატიური წყაროების საფუძველზე გაარკვია, რომ ვიზალიბერალიზებას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები. სავარაუდოდ, მომდევნო შეხვედრა 14 ივნისს უნდა გაიმართოს.

უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხში ძირითადად თურქეთის პრობლემა მოიაზრება, რომლის მოსახლეობა თითქმის 79 მილიონს შეადგენს. თურქეთმა, ევროკავშირთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, უვიზო რეჟიმის მისაღებად 72-პუნქტიანი პირობა უნდა შეასრულოს. (პრინციპში, ბევრი მათგანი უკვე შესრულებულია, მაგრამ ყველაზე მთავარი – ტერორიზმის დეფინიციის შეცვლა ეროვნულ კანონმდებლობაში ჯერჯერობით არ მომხდარა).

ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა ყურადღებით განიხილეს უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხი საქართველოს მიმართაც, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ: დიპლომატების თქმით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის წინააღმდეგ იგივე ქვეყნები – საფრანგეთი და გერმანია გამოდიან. „ჩვენ პროცესის შეჩერება არ გვსურს. უბრალოდ, სიფრთხილეს ვიჩენთ“, – აღნიშნა ერთ-ერთი იმ ქვეყნის დიპლომატმა, რომელიც უარს აცხადებს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზების მიცემაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს უვიზო რეჟიმის მისაღებად სხვადასხვა მიზეზი აქვთ: თურქეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ რადგანაც ის ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტთა ნაკადს აჩერებს, ამიტომ ამის სანაცვლოდ თურქეთი თავისი მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმს იმსახურებს; პოსტსაბჭოთა საქართველოსა და უკრაინისათვის უვიზო რეჟიმის მიღება რუსეთთან გეოპოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ ელემენტად ითვლება, რადგან ორივეს პროდასავლური კურსი აქვთ აღებული; კოსოვო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბოლო ქვეყანაა, რომელიც უვიზო რეჟიმის გარეშეა დარჩენილი.

ამასთან, თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოს თავისი პრობლემები აქვს, რაც ხელს უშლის ვიზალიბერალიზების მიღებას. მაგალითად, თურქეთში ძალიან ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, უკრაინაში კორუფციაა გაბატონებული, საქართველოდან კი ევროპა ორგანიზებული დამნაშავეობის ჯგუფებით „მარაგდება“ (შესაბამისად, ბერლინი სიფრთხილეს იჩენს საქართველოს მიმართ და თვლის, რომ გერმანიაში მოქმედი კრიმინალური ბანდების უმეტესობა ქართული წარმოშობისაა). რაც შეეხება კოსოვოს, მისი დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ულიარებია ევროკავშირის ხუთ წევრ ქვეყანას – საბერძნეთს, რუმინეთს, კვიპროსს, სლოვაკეთსა და ესპანეთს.

დაახლოებით ორ მილიონ კოსოვოელს, ქართველსა და უკრაინელ უკვე აქვთ შენგენის ზონაში მოგზაურობისათვის აუცილებელი მაღალი დონის ბიომეტრიული პასპორტები. თურქეთს ჯერ მსგავსი დოკუმენტებით საკუთარი მოქალაქეები უზრუნველყოფილი არ ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ უვიზო რეჟიმით საწყის ეტაპზე მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ისარგებლებს. მაგრამ ევროსკეპტიკოსები მიუთითებენ, რომ, საბოლოო ჯამში, სასურველი არ იქნება, ევროკავშირმა კარი გაუღოს ამ ოთხი ქვეყნის 130-მილიონიან მოსახლეობას – ევროპას ხომ ისედაც უამრავი პრობლემა აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მიგრანტების გამო.

ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, სადაც შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, იმედს მაინც არ კარგავს. საქმე ისაა, რომ (ქართველ საზოგადოებაში) კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ევროკავშირის ავტორიტეტი.

**ნიუსპრესი**

# თინა ხიდაშელი ავღანეთში ჩავიდა




ვარშავაში დაგეგმილი ნატოს სამიტისთვის მზადების პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ავღანეთში ჩავიდა და ის ბაზები მოინახულა, სადაც ქართველი ჯარისკაცები ნატოს ეგიდით საერთაშორისო მისიაში მონაწილეობენ. თინათინ ხიდაშელმა მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძესთან, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ აგლაძესთან და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელ კობა კობალაძესთან ერთად ბაგრამის საავიაციო ბაზა დაათვალიერა, ადგილზე გაეცნო იმ დავალებებს, რომლებსაც ქართული ქვედანაყოფები ასრულებენ, მოისმინა ავღანეთში შექმნილი მდგომარეობა და პირადად გაესაუბრა ჯარისკაცებს.

– დავიწყეთ ვიზიტი ავღანეთში. ჩვენ ყოველი როტაციის დროს ვცდილობთ, ჩამოვიდეთ ავღანეთში, მოვინახულოთ ბიჭები და ადგილზე გავიგოთ, რა კონკრეტული საკითხები აქვთ გადასაწყვეტი, რამე პრობლემა ხომ არ არსებობს, მოვისმინოთ, მივიღოთ ის სიამოვნება, რომელიც ყოველთვის გველოდება ავღანეთში, ისტორიები ჩვენი ბიჭების წარმატების შესახებ, მადლობები, რომლებსაც მუდმივად ამბობენ ჩვენი პარტნიორები. ასევე შეხვედრები გვაქვს გენერლებთან იმისათვის, რომ აისაფის მისიის შესახებ ვიმსჯელოთ. საქართველო ამ მისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარდამჭერი და მონაწილეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩვენი თანამონაწილეობით მიიღება. ვარშავის სამიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა სწორედ აისაფის მისიაა და სამიტამდე მნიშვნელოვანი იყო, რომ ადგილზე, აქაურ გენერლებთან საუბრით შეგვეჯერებინა პოზიციები, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ავღანეთში ვიზიტის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ყველა იმ სამხედრო ბაზას ესტუმრება, სადაც ქართული ბატალიონებია განთავსებული და აისაფის მისიის ხელმძღვანელ გენერლებს შეხვდება.

**ნიუპოსტი**

# აფხაზმა პოლიციელებმა სომეხი ფეხბურთელები წიხლქვეშ გაიგდეს

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში მიმდინარე არაღიარებულთა მსოფლიოს ჩემპიონატმა, საბოლოო ჯამში, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. როგორც ყველა ტურნირზე, ცემა-ტყეპას აქაც ჰქონდა ადგილი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამ ჩხუბში რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე ჩაერთო და რამდენიმე სომეხი ფეხბურთელი შემოელახა.





აფხაზური მედია ჩივის, რომ ეს ინციდენტი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და, შესაბამისად, აფხაზეთის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს. არადა, მანამდე აფხაზებმა ოფიციალურ თბილისსა და ქართულ მედიას უსაყვედურეს, ჩვენს ტურნირს სარკაზმით ნუ უყურებთ და სპორტს ეცით პატივიო.

სოხუმში იმის გამო არიან განაწყენებული, რომ თბილისში მათთან ჩატარებული ტურნირი არაღიარებულთა ღონისძიებად მოინათლა. სოხუმი ითხოვდა, რომ ირონიისთვის დაგვენებებინა თავი და ტურნირი კონიფას მსოფლიოს ჩემპიონატად მოგვეხსენიებინა. მათივე მტკიცებით, თბილისი აფხაზების იმიჯის შელახვაზე ფიქრობდა, აფხაზური მედიის მტკიცებით კი აფხაზეთს იმიჯი მათმა მშობლიურმა პოლიციამ შეულახა.

ინციდენტი დასავლეთ სომხეთისა და პენჯაბის ნაკრების მატჩზე მოხდა.

მატჩის მსვლელობის დროს ფეხბურთელებს შორის ატყდა ჩხუბი. მობურთავეებმა ჯერ ერთმანეთს აგინეს (თავ-თავიანთ ენებზე, რასაკვირველია), შემდეგ კი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ.

ჩხუბმა ისეთი ფართო და სახიფათო სახე მიიღო, რომ პოლიციელები იძულებული გახდნენ, მოედანზე გადასულიყვნენ.

გასაშველებლად მოსულმა აფხაზმა პოლიციელებმა პენჯაბელების მხარე დაიკავეს და სომხებს დაუწყეს ცემა.

აფხაზური მედიის ცნობით, ჩხუბში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიაჩესლავ ჯუღულია, რომელიც თავად უსწორდებოდა სომეხ ფეხბურთელებს.

გაცხარებულ პოლიციელებს ამ ნაკრებში მოთამაშე აფხაზეთის მოქალაქე არმენ კაპიკიანიც შემოელახათ. ის აფხაზეთის პირველობაზე ასპარეზობს და საფეხბურთო კლუბ „ათონის“ ღირსებას იცავს.

იმიჯშელახული აფხაზები არ გამორიცხავენ, რომ ამ ინციდენტის შემდეგ აფხაზებსა და სომხებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბოს.

ისედაც დაძაბული ვითარება ამ ინციდენტის გარეშეც გამწვავდა. ცოტა ხნის წინ აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა კულტურული ავტონომია მოითხოვეს.

დღეს აფხაზეთში ეთნიკური სომხები უფრო მრავლად ცხოვრობენ, ვიდრე აფხაზები. სოხუმში უკვე ღიად საუბრობენ, რომ ადრე თუ გვიან ეს უთანასწორობა ცუდ შედეგებამდე მიიყვანთ.

სოხუმს შესაძლოა ოფიციალურ ერევანთანაც დაეძაბოს ურთიერთობა. ინციდენტის დროს 2 „კარენოი“ სომეხი ფეხბურთელიც გაილახა. ორივე მათგანი სომხეთის ჩემპიონატზე ასპარეზობს.

რაც შეეხება ვიაჩესლავ ჯუღულიას მიერ დასავლეთ სომხეთის ნაკრების ცემის ფაქტს, მან იმ დღეს მხოლოდ სომეხი ფეხბურთელები კი არ გალახა, არამედ ლამის მთელ მსოფლიოს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საქმე ის გახლავთ, რომ დასავლეთ სომხეთის ნაკრები მსოფლიო ნაკრებად იყო მიჩნეული. როგორც მათმა მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, გუნდისთვის ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ.

მსოფლიო რუკაზე არარსებული ქვეყნის ნაკრებში სათამაშოდ ეთნიკურად სომეხი ფეხბურთელები შვეიცარიიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან გამოიძახეს.

როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვოგე იაგმურიანი ამბობს, მათ ნაკრებში აფხაზეთში მცხოვრები სომხებიც თამაშობდნენ.

ეს გუნდი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად სახელდებოდა, თუმცა მათ მხოლოდ მეხუთე ადგილის დაკავება შეძლეს. არადა, ვოგე იაგმურიანი ტრაბახობდა, ყველაზე გამოცდილი გუნდი მე მყავსო.

გუნდის წარუმატებლობას მწვრთნელი ფეხბურთელების შეუთამაშებლობით ხსნის. მისი თქმით, ამ შემადგენლობით დასავლეთ სომხეთის ნაკრებს არასდროს უთამაშია.

– მთავარი პრობლემა შეუთამაშებლობა იყო. სხვა მხრივ, ჩვენ გვყავდა ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელები. რამდენიმე მათგანი თავის დროზე კლუბ „მარსელის“ ღირსებას იცავდა, ზოგიერთი ლიბანის ნაკრებში თამაშობდა. გუნდის თავდამსხმელი ერევნის „არარატის“ კაპიტანია, ხოლო ნაკრების მეკარე ლევონ მინოსიანი „ალაშკერტის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. ეს გუნდი სულ ახლახან გახდა სომხეთის ჩემპიონი, – განაცხადა იაგმურიანმა.

ნაკრების მოთამაშეების ვინაობის გამჟღავნებას შესაძლოა პოლიტიკური სკანდალიც მოჰყვეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ალბათ, მორიგ საპროტესტო ნოტას აფრენს მეზობელ სომხეთში.

რამდენიმე თვის წინ ერევნის „არარატი“ სოხუმში ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებდა. ამაზე ოფიციალური თბილისი გადაირია. ჩვენი საგარეოს წერილმა ერევანი გადარია. იმათ სოჭში მყოფ „არარატის“ ხელმძღვანელობას დაურეკეს და მოსთხოვეს, ფსოუზე გადასულები არ დაგინახოთო.

არარატელნი დაემორჩილნენ ოფიციოზის ნებას, რითაც ძალიან განარისხეს აფხაზები. მათმა საგარეო უწყებამ სომეხ კოლეგებს ქართული მხარის დაკრულზე მოცეკვავეები უწოდა.

მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, ახლა სოხუმში „არარატი“ სრული შემადგენლობით არ ჩასულა. სომხეთის ჩემპიონატზე მოასპარეზე ფეხბურთელები იქ ნაწილ-ნაწილ შეიპარნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავადაც ყოფილი არარატელია. ის საბჭოთა ეპოქაში „არარატის“ იუნიორებში თამაშობდა. აფხაზურ მედიასთან საუბარში მან განაცხადა, რომ შეკრებებზე მას აფხაზეთში ყოფნა ხშირად უწევდა.

მართალია, გაილახნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილნი ბრუნდებიან უკან. დასავლეთ სომხეთის გუნდის წევრები განსაკუთრებით სოჭში მოიხიბლნენ.

– სოჭში მცხოვრები სომხური დიასპორის წარმომადგენლები აეროპორტშივე დაგვხვდნენ. აეროპორტიდან ლამის ხელში აყვანილები წამოგვიყვანეს და სასტუმრომდე მოგვაცილეს. ჩვენ ეს არასდროს დაგვავიწყდება, – განაცხადა ნაკრების პრესსპიკერმა ანუშევან შახნაზარიანმა.

* * *

მართალია, არავის გაულახავს, მაგრამ შარი არც ლაპლანდიელ ფეხბურთელებს დაჰკლებიათ. ყინულოვანი ლაპლანდიიდან ჩამოსულებს აფხაზეთის ტემპერატურა ძალიან მაღალი მოეჩვენათ. არადა, სულ რაღაც 25 გრადუსი სითბო იყო, ლაპლანდიელები კი ქუდებით დადიოდნენ და პლაჟზეც ქუდებით გავიდნენ. აფხაზები ამ სანახაობამ ნამდვილად გააოცა.

საოცრებები არც ზღაპრული სანტას „ზემლიაკებს“ დაჰკლებიათ. მათ გაგრის სტადიონზე უწევდათ თამაში და ქალაქამდე ძლივს ჩააღწიეს. გზაზე გამოფენილი ძროხების კორდონიდან ისინი პოლიციამ ძლივს გაიყვანა. ეს სანახაობა ლაპლანდიელებმა ფოტოებზე აღბეჭდეს და სოციალურ ქსელებშიც განათავსეს.

აფხაზები განსაკუთრებით სომალილენდის ფეხბურთელებმა გააოცეს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მათ ძალიან მარტივად აითვისეს ფრაზები აფხაზურ ენაზე და ამ ფრაზებს უაქცენტოდ გამოთქვამდნენ.

რადგან ფეხბურთსა და აფხაზეთზე ვსაუბრობთ, ფეხბურთს აფხაზურად საინტერესო სახელი – შაპილამპილ ჰქვია.


ლაპლანდიელი ფეხბურთელები






# კიევში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა კიევში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, მეტსახელად რეზიკო ჯვარსკი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია, რომ დაკავებული, რომელიც უკრაინელი სამართალდამცავების სპეციალურ ბაზაში იმყოფებოდა, უკრაინაში მოლდოვიდან მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს არალეგალურად შევიდა.



უკრაინაში ე.წ. კანონიერი ქურდი კრიმინალურ წრეებთან კავშირის დასამყარებლად და მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების კოორდინაციისთვის ჩავიდა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა გადაწყვიტა, რეზიკო ჯვარსკი ქვეყნის ტერიტორიიდან გააძევოს. მას უკრაინაში შესვლა აეკრძალება.

**მედიანიუსი**

# გიორგი მარგველაშვილი სამუშაო ვიზიტით სტრასბურგსა და ბრიუსელს ეწვევა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამუშაო ვიზიტით სტრასბურგსა და ბრიუსელს ეწვევა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი 6-7 ივნისს სტრასბურგში ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტორბიორნ იაგლანდსა და ევროპის პარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცს შეხვდება.

დაგეგმილია გიორგი მარგველაშვილის ორმხრივი შეხვედრები ევროპის სახალხო პარტიისა და სოციალ-დემოკრატების ალიანსის ლიდერებთან.

გიორგი მარგველაშვილი ევროპის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე ისაუბრებს და ევროპარლამენტარების შეკითხვებს უპასუხებს.

სტრასბურგში სამუშაო ვიზიტის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ბრიუსელში გაემგზავრება.

ბრიუსელში 8-9 ივნისს დაგეგმილია გიორგი მარგველაშვილის შეხვედრები ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკთან და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## აშშ სამხრეთ კორეას დაიცავს



აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ეშტონ კარტერი თავის სამხრეთკორეელ კოლეგა ჰანა მინ კუს შეხვდა.

საუბარი ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას შეეხო.

ჰანა მინ კუმ გამოთქვა შეშფოთება ჩრდილოეთ კორეის მზარდი აგრესიულობისა და იმ საფრთხის გამო, რომელიც ფხენიანიდან მოდის.

ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ აშშ თავის ვალს ბოლომდე შეასრულებს.

– სამხრეთ კორეას ვიცავდით და ბოლომდე დავიცავთ! – თქვა კარტერმა.

## ნულანდმა ლავროვის სიტყვები უარყო



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდმა უარყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის სიტყვები, თითქოს ვაშინგტონი ოფიციალურ კიევზე ზეწოლას ახორციელებს, რათა მინსკის შეთანხმებების შესრულება აიძულოს.

ნულანდმა აღნიშნა, რომ ზეწოლის აუცილებლობა არ არის, რადგან უკრაინა მინსკის შეთანხმებებს კეთილსინდისიერად იცავს. პროცესი ჩიხში მხოლოდ რუსეთის წყალობით შევიდა.

– ამიტომაც სანქციები რუსეთის მიმართ დაწესდა, – თქვა ნულანდმა.

დღეისთვის დონბასში 40.000 რუსი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. მათ შეიარაღებაშია 400 ტანკი, აგრეთვე გრადის ტიპის დანადგარები, რადიოლოკაციური სისტემები და ა.შ.

## ევროპაში პრორუსული ლობი აქტიურდება



უკანასკნელ ხანს ევროპაში პრორუსული ლობის მკვეთრი გააქტიურება შეინიშნება.

საფრანგეთის პარლამენტის სკანდალურად ცნობილმა დეპუტატმა მორანიმ განაცხადა, რომ უკრაინა მინსკის შეთანხმებებს არ ასრულებს და ამის გამო სანქციები უნდა დაუწესონ.

– უკვე მზადაა კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში შევიტანე და რომელიც უკრაინისადმი სანქციების დაწესებას ითვალისწინებს, – თქვა მორანიმ.

მსგავს პოზიციებზე დგას მისი ჩეხი კოლეგა ირჟი მეშტალკაც, რომლის კავშირები კრემლთან საყოველთაოდაა ცნობილი.

– თუკი უკრაინას სანქციები არ დავუწესეთ, ომი დონბასში არასოდეს დასრულდება, – აცხადებს ჩეხი დეპუტატი.

## პოროშენკო: „უკრაინაში მართვადი ქაოსი ვერ შექმნეს“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პრესკონფერენციაზე უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დაწვრილებით ისაუბრა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსული სპეცსამსახურები უკრაინაში „მართვადი ქაოსის“ შექმნას ცდილობდნენ.

– ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ორგანიზებული წინააღმდეგობის შედეგად აღნიშნული გეგმა ჩაიშალა. უკრაინაში მართვადი ქაოსი ვერ შექმნეს, – განაცხადა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დესტაბილიზაციის საფრთხე განსაკუთრებით 9 მაისს გაიზარდა. გარკვეული ძალები ანტიუკრაინული დემონსტრაციების მოწყობას აპირებდნენ.

– ხალხმა დესტრუქციულ ანტიუკრაინულ ელემენტებს მხარი არ დაუჭირა, ამიტომაც ამ პროცესის რეგულირება მოხერხდა, – განაცხადა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სტაბილურობის შენარჩუნება გადამწყვეტი აღმოჩნდა ეკონომიკაში გარდატეხის დასაწყებად. გრივნა დასტაბილურდა. დაიწყო სასიკეთო ძვრები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. კოლაფსის საფრთხე, რომლითაც უკრაინელებს აშინებდნენ, შემცირდა.

პრეზიდენტმა ყურადღება დაუთმო დონბასში არჩევნების ჩატარებას და დონბასისთვის სტატუსის მინიჭების საკითხს.

– ხშირად მეკითხებიან, შესაძლებელია თუ არა დონბასში არჩევნების ჩატარება. ჩემი პოზიცია მტკიცეა: სანამ არ შეწყდება სროლები და უსაფრთხო გარემო არ შეიქმნება, არჩევნები ვერ ჩატარდება, – თქვა პოროშენკომ.

შეკითხვას, როგორ აფასებს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივებს, პოროშენკომ უპასუხა, რომ ეს დროის საკითხია:

– საამისოდ აუცილებელია ორი რამ: პირველი – მძლავრი ეროვნული უკრაინული სახელმწიფოს შექმნა, კარგად განვითარებული ეკონომიკითა და ძლიერი არმიით; მეორე – ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია, – თქვა პოროშენკომ.

## ოპოზიციის აქცია ვარშავაში




პოლონეთის დედაქალაქში ოპოზიციამ საპროტესტო აქცია გამართა. მასში მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო.

– მანიფესტანტებს წინ მიუძღოდნენ პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტები კომაროვსკი და კვასნევსკი, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

აქციის მონაწილეები პოლონეთში უკანასკნელ ხანს გაძლიერებულ ავტორიტარულ ტენდენციებს აპროტესტებდნენ.

– პოლონეთი დემოკრატიული ქვეყანაა! თავისუფლების პრინციპებიდან გადახვევას არ დავუშვებთ, – სკანდირებდნენ ისინი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

### კალეიდოსკოპი

## მოჩვენებებზე მონადირეებს მსახიობების კვნესა სულების ხმები ეგონათ



ბრიტანეთის ქალაქ კინგსტონ-აპონ-ჰალში ენთუზიასტების ჯგუფს, რომლებსაც მოჩვენებების არსებობა სწამთ და მათი ძებნით არიან დაკავებულნი, პორნოფილმის მსახიობების კვნესის ხმები საფლავებიდან მომავალი სულების ხმები ეგონათ.

რამდენიმე ადამიანი ადგილობრივ სასაფლაოზე პარანორმალური მოვლენების ძებნით იყო დაკავებული. როდესაც მათ ხმები გაიგონეს, რომლებიც მოჩვენებების ხმებს მიამსგავსეს, გადაწყვიტეს, ის ადგილი დაეზვერათ. ისინი ხმების მიმართულებით წავიდნენ და ამ დროს ქალსა და მამაკაცს დაადგნენ თავზე, რომლებიც სექსით იყვნენ დაკავებულნი. გაირკვა, რომ წყვილი პორნოფილმის გადაღებებში მონაწილეობდა.

ჯგუფის ერთ-ერთ წევრ მაიკ კოუელის თქმით, როდესაც პორნომსახიობებმა ისინი შენიშნეს, გაიქცნენ.

– კიდევ კარგი, იმ მომენტში ჩვენ ჯგუფში მხოლოდ ზრდასრული ადამიანები ვიყავით, თორემ ზოგჯერ ჩვენს საქმიანობაში ბავშვებიც მონაწილეობენ, – აღნიშნა კოუელმა.

## ნორვეგიელი დები თმის დაწვნაში დაოსტატდნენ



ნორვეგიელმა დებმა, რომლებმაც თმის სხვადასხვა სახით ოსტატურად დაწვნა ისწავლეს, ინსტაგრამი დაიპყრეს. გოგონებმა სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი გახსნეს, სადაც საკუთარი ვარცხნილობების ამსახველ ფოტოსურათებს აქვეყნებენ.

24 წლის ლინდასა და 14 წლის მიი სონვის ბეკების საერთო აკაუნტს ინტერნეტში 206 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

გოგონებმა გვერდი 2014 წელს შექმნეს. ლინდას თქმით, მან და მისმა დამ უჩვეულო ნაწნავების გაკეთება დაახლოებით ხუთი წლის წინ დაიწყეს, როდესაც იუთუბიზე თმის დაწვნის სასწავლო ვიდეოჩანაწერი ნახეს.

ახლა გოგონებს საკუთარი იუთუბი-არხი აქვთ დარეგისტრირებული, სადაც სხვადასხვა ვარცხნილობის ამსახველ ფოტოსურათებს აქვეყნებენ. რთული ნაწნავების შექმნას გოგონები ზოგჯერ ერთ საათზე მეტ დროს ანდომებენ. ისინი ასევე თმაში იწნავენ სხვადასხვა დეტალს: ყვავილებს, ზღვის ნიჟარებს, ბაფთებსა და პატარა გვირგვინებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ევრო–2016 — ვინ ვინ არის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბი შედის იმ 3 გუნდს შორის, რომელსაც ევროპის ჩემპიონატი ერთზე მეტად აქვს მოგებული. გერმანელებმა და ესპანელებმა ეს 3-3-ჯერ მოახერხეს.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ბენუა კოსტილი (რენი), უგო ლორისი (ტოტენჰემი, ინგლისი), სტივ მანდანდა (მარსელი);

**მცველები:** ლიუკა დინი (რომა, იტალია), პატრის ევრა (იუვენტუსი, იტალია), კრისტოფ ჟალე, სამუელ იუმტიტი (ორივე მარსელი), ლორან კოსიელნი (არსენალი, ინგლისი), ელიაკიმ მანგალა, ბაქარი სანია (ორივე მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ადილ რამი (სევილია, ესპანეთი);

**ნახევარმცველები:** იოან კაბაიე (კრ.პალასი, ინგლისი), ნგოლო კანტე (ლესტერი, ინგლისი), კინგსლი კომანი (ბაიერნი, გერმანია), ბლეზ მატუიდი (პსჟ), დიმიტრი პაიე (ვესტ ჰემი, ინგლისი), პოლ პოგბა (იუვენტუსი, იტალია), მუსა სისოკო (ნიუკასლი, ინგლისი), მორგან შნეიდელრენი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** ანდრე-პიერ ჟინიაკი (ტიგრესი, მექსიკა), ოლივიე ჟირუ (არსენალი, ინგლისი), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ მარსიალი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);

**მწვრთნელი დიდიე დეშამი**



## რუმინეთი

ასოციაცია დაარსდა 1909 წელს; მეტსახელი: სამფეროვნები

ნაკრების ბომბარდირის სტატუსს გეორგ ჰაჯი და ადრიან მუტუ იყოფენ (35). მოქმედებიდან საუკეთესო მაჩვენებელი ჩიპრიან მარიკას აქვს (25).

რეკორდსმენი ჩატარებული მატჩებით დორინელ მუნტეანუა (134), მოქმედებიდან რაზვან რაცი (108).

რუმინეთის ნაკრები შედის იმ 4 გუნდში, რომელიც საწყის 3 ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობდა. ნაკრების საუკეთესო მიღწევა მეოთხედფინალია (2000 წელს).

ევროპის ჩემპიონატებზე დიდი შედეგებით ვერ დაიკვეხნის. ფინალურ სტადიაზე თითქმის ყოველთვის „სიკვდილის ჯგუფში" ხვდებოდა. 2000 წელს ისინი გავიდნენ ჯგუფიდან, სადაც მისი მეტოქეები საფრანგეთი, პორტუგალია და ინგლისი იყო. სულ ფინალურ სტადიაზე 13 მატჩი აქვს ჩატარებული. აქედან 1 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და 8 წააგო. ბურთების შეფარდება – 8:17.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

14.10. 2007 რუმინეთი-ჰოლანდია 1:0

ეს იყო საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი. დორინ გოიანის გოლით რუმინეთი ევრო-2008-ზე მოხვდა.

20. 06. 2000 რუმინეთი-ინგლისი 3:2

პირველი ტაიმის წაგების შემდეგ რუმინელებმა მოახერხეს მატჩის შემობრუნება. იონელ განიამ 89-ე წუთზე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს და მეოთხედფინალში გაიყვანა.

05. 06. 1999 რუმინეთი-უნგრეთი 2:0

სანაკრებო კარიერა დასრულებული გეორგ ჰაჯი დაბრუნდა ეროვნულ გუნდში და რუმინელებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლაში დაეხმარა.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ჩიპრიან ტატარუშანუ (ფიორენტინა, იტალია), კოსტელ პანტილიმონი (უოტფორდი, ინგლისი), სილვიუ ლუნგი (ასტრა);

**მცველები:** კრისტიან საპუნარუ (პანდური), ალექსანდრ მეცელი (დინამო, ხორვატია), ვლად კირიკეში (ნაპოლი, იტალია), ვალერიკ გემანი (ასტრა), კოზმინ მოცი (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), დრაგოში გრიგორიე (ალ საილია, ყატარი), რაზვან რაცი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), სტელიან ფილიპი (დინამო);

**ნახევარმცველები:** ნიკოლაე სტანჩუ, ალექსანდრ კიპჩუ, ადრიან პოპა, მიხაი პინცილი (ყველა სტიაუა), ოვიდიუ ჰობანი (ჰაპოელი, ისრაელი), ანდრეი პრეპელიცე (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), გაბრიელ ტორჟე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლუჩან სენმერტიანი (ალ იტიჰადი, საუდის არაბეთი);

**თავდამსხმელები:** კლაუდიო კეშერუ (ლუდოგორეცი, ბულგარეთი), ბოგდან სტანჩუ (გენჩლერი, თურქეთი), ფლორიან ანდონი (კორდობა, ესპანეთი), დენის ალიბეკი (ასტრა);

**მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ**

## ალბანეთი

ასოციაცია შეიქმნა 1930 წელს. მეტსახელი: არწივები

საუკეთესო ბომბარდირი ერიონ ბოგდანია (18), მოქმედი ფეხბურთელებიდან – ჰამდი სალიჰი (11).

ჩატარებული მატჩებით რეკორდსმენი ლორიკ ცანაა (87), რომელიც მომავალ ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშებს.

ალბანელები პირველად მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატზე. ევროპის უმაღლეს ფორუმზე გუნდს იტალიელი სპეციალისტი ჯანი დე ბიაზი გაუძღვა და საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ალბანეთი უეფას დაარსების ერთ-ერთი დამფუძნებელია, მაგრამ დიდ ტურნირზე აქამდე ვერ გააღწია. ბოლო 7 შესარჩევ ეტაპზე ალბანელებმა ბოლო ადგილს ყოველთვის დააღწიეს თავი, ხოლო 2014 წელს დე ბიაზის გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო მატჩი ჩააგდო, თორემ შეეძლო, მუნდიალის გადათამაშებაში ეთამაშა. სამაგიეროდ, არწივების ოცნება 2016 წელს ახდა.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

11. 10. 2015 სომხეთი-ალბანეთი 0:3

საკვალიფიკაციო ეტაპზე ერევანში მოგებული მატჩით ალბანეთის ნაკრებმა ევრო-2016-ის საგზური მოიპოვა.

29. 03. 2003 ალბანეთი-რუსეთი 3:1

ეს იყო ალბანეთის ნაკრებში ჰანს-პიტერ ბრიგელის სადებიუტო მატჩი. ალბანელებმა შესანიშნავად ითამაშეს და ფავორიტი რუსეთი შინ უქულოდ გაუშვეს.

17. 12. 1967 ალბანეთი-გერმანია 0:0

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანელებმა მოახერხეს და შინ მშრალად შეინახეს კარი. ამით გერმანელებს გზა გადაუკეტეს ფინალურ ეტაპზე.

საინტერესო დეტალია, რომ ალბანეთის ნაკრების პირველი გოლის ავტორი პაიონიოტ პანო გახლავთ, რომელმაც კარიერა, როგორც მეკარემ, ისე დაიწყო. ერთ-ერთ მატჩში გუნდს მინდვრის ფეხბურთელები აკლდა და მწვრთნელმაც პანო წინ დააყენა.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ეტრიტ ბერიშა (ლაციო, იტალია), ალბან ჰოჯა (პარტიზანი, სერბეთი), ორგეს შეჰი (შკენდერბიუ);

**მცველები:** ლორიკ ცანა (ნანტი, საფრანგეთი), არლინდ აჯეტი (ფროზინონე, იტალია), მერგიმ მავრაი (კიოლნი, გერმანია), ელსეიდ ჰისაი (ნაპოლი, იტალია), ანსი აგოლი (ყარაბახი, აზერბაიჯანი), ფრედერიკ ვესელი (ლუგანო, შვეიცარია), ნასერ ალიჯი (ბაზელი, შვეიცარია);

**ნახევარმცველები:** ლედიან მემუშაი (პესკარა, იტალია), ერგიუს კაჩე (პაოკი, საბერძნეთი), ანდი ლილა (იანინა, საბერძნეთი), მიგენ ბაშა (კომო, იტალია), ოდისე როში (რიეკა, ხორვატია), ბურიმ კუკელი (ციურიხი, შვეიცარია), ერმინ ლენიანი (ნანტი, საფრანგეთი), ტაულან ჯაკა (ბაზელი, შვეიცარია), ამირ აბრაში (ფრაიბურგი, გერმანია);

**თავდამსხმელები:** ბექიმ ბალა (რიეკა, ხორვატია), სოკოლ ციკალეში (ისთამბული, თურქეთი), არმანდო სადიკუ (ვადუცი, ლიხტენშტეინი), შკელზენ გაში (კოლორადო, აშშ);

**მწვრთნელი ჯანი დე ბიაზი**



## შვეიცარია

ასოციაცია 1985 წელს დაარსდა. მეტსახელი: შვაიცერ ნატი

საუკეთესო ბომბარდირი ალექსანდერ ფრეი გახლავთ (42), მოქმედებიდან ხერდან შაქირი (17).

ჩატარებული მატჩების მხრივ ჰანიც ჰერმანი (118), ლიდერობს, მოქმედებიდან ნაკრების მაისური ყველაზე მეტჯერ გეკჰან ილნერს (89) მოურგია.

ყველასთვის ცნობილია, რომ შვეიცარიაში მდებარეობს ფიფასა და უეფას შტაბბინები. თუმცა, ფეხბურთს არა ჩინოვნიკები, არამედ ადგილობრივები თამაშობენ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედ მოხვდნენ. პირველად ზუსტად 20 წლის წინ.

შვეიცარიელებმა შესანიშნავად განვლეს საკვალიფიკაციო ეტაპი და ჯგუფში მხოლოდ ინგლისელებს ჩამორჩნენ, რომლებმაც 10-ვე მატჩი მოიგეს. საფრანგეთის საგზურის მოპოვებამდე სამჯერ იყვნენ ფინალურ სტადიაზე, მაგრამ სენსაციური ვერაფერი შემოგვთავაზეს და ყოველ ჯერზე ჯგუფში ჩარჩნენ.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 9 მატჩი აქვთ გამართული და მხოლოდ 1 მოგება გააჩნიათ, 2 ფრესა და 6 წაგების წილ. ბურთების შეფარდება – 5:13.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

15. 06. 2008 შვეიცარია-პორტუგალია 2:0

ისტორიული მოგება ფინალურ სტადიაზე და ეს შვეიცარიელებმა საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ მოახერხეს. 2008 წელს შვეიცარიამ ავსტრიასთან ერთად უმასპინძლა დიდ ფორუმს. პორტუგალია ჰაკან იაკინმა ორჯერ დაამწუხრა.

08. 06. 1996 ინგლისი-შვეიცარია 1:1

ეს იყო შვეიცარიელთა პირველი ქულა ფინალურ სტადიაზე, რომელიც კუბილაი თურქილმაზმა მოუტანა 83-ე წუთზე გატანილი პენალტით.

24. 05. 1967 შვეიცარია-რუმინეთი 7:1

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ შემდეგ ეტაპს ველარ გასცდნენ.

შინ გამართულ ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარიელთა სამივე გოლი ჰაკან იაკინმა გაიტანა. სხვებსაც მეტი რომ ეაქტიურათ, დაძლევდნენ ჯგუფურ ეტაპს. ახლა ავსტრიასთან და ბელგიასთან ერთად იმ სამეულში არიან, რომლებიც მასპინძლობის პერიოდში ჯგუფიდან ვერ გავიდნენ.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** რომან ბიურკი (დორტმუნდი, გერმანია), იან ზომერი (გლადბახი, გერმანია), მარვინ ჰიტცი (აუგსბურგი, გერმანია);

**მცველები:** შტეფან ლიხშტაინერი (იუვენტუსი, იტალია), მიხაელ ლანგი (ბაზელი), იონ ჯურუ (ჰამბურგი, გერმანია), ნიკო ელვედი (გლადბახი, გერმანია), რიკარდო როდრიგესი (ვოლფსბურგი, გერმანია), ჟაკ-ფრანსუა მუბანჯე (ტულუზა, საფრანგეთი), ფაბიან შერი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), სტივ ფონ ბერგენი (იან ბოიზი);

**ნახევარმცველები:** გრანიტ ჯაკა (არსენალი, ინგლისი), ვალონ ბეჰრამი (უოტფორდი, ინგლისი), ბლერიმ ჯემაილი (ჯენოა, იტალია), ჟელსონ ფერნანდეში (რენი, საფრანგეთი), ფაბიან ფრაი (მაინცი, გერმანია), ჯერდან შაქირი (სტოკი, ინგლისი), დენის ზაქარია (იანგ ბოიზი);

**თავდამსხმელები:** ბრელ ემბოლო (ბაზელი), ერენ დერდიოკი (ქასიმფაშა, თურქეთი), ჰარის სეფეროვიჩი (აინტრახტი, გერმანია), ადმირ მეჰმედი (ლევერკუზენი, გერმანია), შანი ტარაშაი (გრასჰოპერი);

**მწვრთნელი ვლადიმირ პეტკოვიჩი**

**10 ივნისი**: საფრანგეთი-რუმინეთი;
**11 ივნისი**: ალბანეთი-შვეიცარია;
**15 ივნისი**: რუმინეთი-შვეიცარია;
**15 ივნისი**: საფრანგეთი-ალბანეთი;
**19 ივნისი**: რუმინეთი-ალბანეთი;
**19 ივნისი**: შვეიცარია-საფრანგეთი

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## სტელა მაქსველი ყველაზე სექსუალურია

ჟურნალ მაქსიმის ამერიკულმა ვერსიამ 2016 წლის ყველაზე სექსუალურ ქალად სუპერმოდელი სტელა მაქსველი




დაასახელა. გოგონას ფოტოსურათი გამოცემის ივნისისა და ივლისის ნომრის გარეკანზე მოხვდა, როგორც წლის ყველაზე მომხიბვლელი გოგონების რეიტინგის ლიდერის.

25 წლის ახალზელანდიელმა მოდელმა განაცხადა, რომ ამ გამარჯვებას საკუთარ ოპტიმისტურ ხასიათს უმადლის.

– მჯერა, რომ თუ დადებითად იფიქრებ, საკუთარ თავს საუკეთესო შედეგს უსურვებ, აუცილებლად მიაღწევ სასურველ შედეგს, – განაცხადა გოგონამ გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში.

მაქსველს სხვადასხვა დროს მოდის ცნობილი მარკების ჩვენებებში აქვს მონაწილეობა მიღებული. 2015 წლამდე ის ამერიკელ მომღერალ მაილი საირუსს ხვდებოდა, ხოლო 2015 წლის აპრილიდან კომპანია ვიქტორია სიქრეტსის ერთ-ერთი „ანგელოზი" გახდა.

## უკრაინელი კასკადიორი რეკორდების წიგნსა და საავადმყოფოში მოხვდა

უკრაინელმა კასკადიორმა ალექსანდრ ტურჩანინოვმა ლიტვაში მსოფლიო რეკორდი მოხსნა, როდესაც მოტოციკლე-



ტით ყველაზე დიდი „მკვდარი მარყუჟი" შეასრულა ლითონის სფეროში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან გამოსვლის დასრულებისას მოტოციკლეტის მართვაზე კონტროლი დაკარგა და სიმაღლიდან ჩამოვარდა.

კასკადიორი კაუნასის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. წინასწარი მონაცემებით, მას ხელის მტევანი აქვს მოტეხილი.

ტურჩანინოვის საჩვენებელ გამოსვლას თვალს რეკორდების უკრაინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ადევნებდნენ. ილეთის შესრულების შემდეგ კასკადიორს რეკორდის სერტიფიკატი გაუფორმეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 6 ივნისისთვის



**ვერძი** – ვარსკვლავები გამცნობენ, რომ თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. სირთულეების შემთხვევაში დახმარება ახლო მეგობრებს სთხოვეთ. **კურო** – მოსალოდნელია საქმიანი კონტაქტების გაფართოება. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. ჭორებს ნუ აჰყვებით და წინდაუხედავად ნუ მოიქცევით. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ერიდეთ კონფლიქტს უცხო ადამიანებთან. **კირჩხიბი** – წინა თვეში წარმოქმნილი პრობლემები უფრო მწვავდება. დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა, რაც უსიამოვნებების მიზეზად იქცევა. **ლომი** – რთული და წინააღმდეგობრივი დღეა. გელით წარმატებებიც და იმედგაცრუებაც. პოზიტივის შექმნაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. **ქალწული** – სერიოზული ცვლილებების დროა. დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. თუ ვითარება მოითხოვს, დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – აქტიური დღეა. ფინანსური მდგომარეობა უარესდება და მის აღმოსაფხვრელად დიდი სიბრძნე და თავშეკავება გმართებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ჩანაფიქრის რეალიზებას საკმაოდ სწრაფად მოახერხებთ. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენდამი საპირისპირო სქესის დამოკიდებულება. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია მივლინება ან საქმიანი მოგზაურობა, თუმცა ეს უმნიშვნელო შედეგით დასრულდება. ერიდეთ კონფლიქტს უცნობებთან. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება. კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. სამსახურშიც და სახლშიც არასტაბილური სიტუაციაა. კომერციულ საქმიანობაში არ იაქტიუროთ. თქვენს იდეებს სხვას ნუ მოახვევთ. **თევზები** – შექმნილი სიტუაციის გამო პირად გეგმებზე უარის თქმა მოგიწევთ. ისეთი განცდა გაქვთ, თითქოს ყველა თქვენს ცხოვრებაში ერევა და ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს გიშლით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჩინელებმა ქალი მძღოლებისთვის სპეციალური ავტოსადგომები შექმნეს

ჩინეთის პროვინციებში ჩჟეცზიანსა და ცზიანსიში საგანგებოდ ქალი მძღოლებისთვის მანქანის გასაჩერებელი ფართო ადგილები მოაწყვეს. დაახლოებით 370 ავტოსადგომი ვარდისფერი საღებავითაა მონიშნული.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს ადგილები ჩვეულებრივებზე ორჯერ უფრო განიერია. ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება იმისთვის მიიღო, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს სატრანსპორტო საშუალების გაჩერება გაუადვილონ.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა პან ჩჟუჟენმა განაცხადა, ასეთი სივრცის მოწყობა მანქანების



გაჩერებასთან დაკავშირებით გამუდმებულმა პრობლემებმა განაპირობა. ის იმედოვნებს, რომ ეს მოხსნის პრობლემას, რომელსაც არცთუ სახარბიელოდ დაყენებული ავტომობილები იწვევდა.

## კიმ კარდაშიანის გასაიდუმლოებული პროექტი

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც ის ტანსაცმლის გარეშე ზურგით ფოტოაპარატის ობიექტივისკენ ზის, ხოლო კომენტარში მან დაწერა, რომ ახალ პროექტს იწყებს.



კარდაშიანმა დააყენა ხეშტეგი „საიდუმლო პროექტი". „უკვე მალე", – დაამატა 35 წლის ვარსკვლავმა სურათისთვის გაკეთებულ კომენტარში. ამ ფოტოსურათმა გამოქვეყნებიდან ერთ საათში 300 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. ტელევარსკვლავის გვერდს ინსტაგრამში 72 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## ძაღლი, რომელიც მელას ჰგავს, პოპულარობას იძენს

სოციალურ ქსელ ინსტაგრამში ძაღლის, სახელად მაიას გვერდმა პოპულარობის მოხვეჭა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ინტერნეტმომხმარებლებმა შენიშნეს, რომ ის მელას ჰგავს. მაია, რომელიც აშშ-



ის ბინადარია, ჰასკისა და პომერანული შპიცის ნაჯვარია.

ძაღლის გვერდს 1,4 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ახლახან მისი ფოტოსურათი პორტალ რედიტზე იქნა გამოქვეყნებული, სადაც მან დაახლოებით 1,6 ათასი ინტერნეტმომხმარებლის კომენტარი მიიღო. მათ უმრავლესობაში ის ჯადოსნურ მელასთანაა შედარებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას უყვარს ცურვა, მთებში პატრონთან ერთად სეირნობა და ბანანები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მკურნალი მცენარე

### ნიორი



ნიორი ახალგაზრდობის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. ესაა საუკეთესო ანტიოქსიდანტი, რომელიც აფერხებს დაბერების პროცესს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ქსოვილებს ელასტიურობას უნარჩუნებს. რეცეპტი, რომლის გარკვეული სქემით მიღებაც ადამიანს 5-15 წლით აახალგაზრდავებს, უძველესი დროიდან არის ცნობილი. „ახალგაზრდობის ელექსირში" შედის ნიორი, სპირტი, თაფლი და პროპოლისის ნაყენი.

კანის ლამაზი ფერის, ჯანმრთელი და სუფთა კანის შესანარჩუნებლად უნდა მიიღოთ ნიორის ასეთი ნაყენი: აიღეთ ერთი თავი ნიორი და ნახევარი საათი ხარშეთ ღვინოში. შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ და ბნელ ადგილას დადეთ. ყურადღება: ნაყენის მიღება უნდა დაიწყოთ ახალმთვარეობისას და ეს წესი ძალიან მკაცრად დაიცვათ. ნაყენს იღებენ 3 ან 4 დღის განმავლობაში, სამჯერ დღეში თითო ჩაის კოვზის ოდენობით.

ეფექტის გაუმჯობესებისთვის გაწურეთ სამი ლიმონი და წვენი შეურიეთ 50 გრამ დაქუცმაცებულ ან დანაყილ ნიორს. 1 ჩაის კოვზი ნაყენი 1 ჭიქა წყალში გახსნილი დილაობით უნდა მიირთვათ. ამ ტიპის მკურნალობა ორგანიზმს ტოქსინების გამოძევებაში ეხმარება, კაპილარების დონეზე სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობას ზრდის.

ნიორის ჭამა დაგეხმარებათ ზედმეტი წონის მოშორებაშიც. ეს პროდუქტი წვავს შაქარს, ამცირებს ტკბილეულის მიღების სურვილს, ახანგრძლივებს დანაყრების გრძნობას და ეხმარება ადამიანს წონის ნორმაში შენარჩუნებაში მოწევისთვის თავის დანებების დროს.

## სკანვორდი



1. მტაცებელი ნადირი; 2. ძველფრანგული ხურდა ფული; 3. სახვითი თეატრალური შოუ; 4. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 5. სატირული მიბაძვა; 6. ჰო, დიახ; 7. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 8. რბილი დივანი მუთაქებით; 9. თანამდებობათა თანმიმდევრობა; 10. საჯარისო შენაერთი; 11. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 12. ლეგენდარული იაპონელი დიზაინერი; 13. ილონა შტალერი; 14. ქალიშვილი (ინგლისურად); 15. უზნეო მოქმედება რაიმე საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად; 16. ძვირფასი ქვა; 17. „..., რომელიც იცინის"; 18. სატურნის თანამგზავრი; 19. ... ელიავა; 20. არა (გერმანულად); 21. სააგიტაციო ნახატი; 22. მინისტრი ვერა ...; 23. წვრილი ნაკეცები ქსოვილზე; 24. ... ბოლდუინი; 25. უქოჩრო თუთიყუში; 26. სიახლოვის ან დარღვევის აღმნიშვნელი წინსართი; 27. ჰერას ქურუმი ქალი; 28. წონის ძველებური ერთეული; 29. ნაბიჯი ბალეტში; 30. ეთიოპიის ძველი სახელწოდება; 31. ქალაქი კანადაში; 32. პარკოსანი კულტურა; 33. ვაზების მწკრივი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ეშხი; 2. „იზა"; 3. გერიატრია; 4. დონგი; 5. „ლიპტონი"; 8. ნიკე; 9. ვაგნერი; 10. შოკოლადი; 12. ბასტრი; 13. გროტი; 15. ქაცვი.

**თარაზულად:** 1. ეპილოგი; 6. ბეისბოლი; 7. ხუნტა; 10. შტილი; 11. აკაბა; 13. გონიო; 14. კიქსი; 16. ტახო; 17. აერაცია; 18. ოკრიბა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „გორდონსი"; 2. „გერნიკა"; 3. სტუკო; 4. წაღვერი; 5. თამბაქო; 10. ყაზახეთი; 11. ეფრემვერდი; 12. სილეზია; 15. პარტიტურა; 16. „იბერია"; 17. ბურნაკუ; 20. ცერნი.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. სარბაზი; 8. პრომილე; 9. ენესკუ; 13. „რომა"; 14. აფონია; 18. დეკორაცია; 19. „ბურჟე"; 21. ვერძი; 22. „საირმე"; 23. კუსტურიცა; 24. პლასტიკა.

# პანტომიმის თეატრი ქველმოქმედებაში ჩაერთო

პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ქველმოქმედებაში ჩაერთო. მსახიობებმა 23 წლის თათია დგებუაძის დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლი ითამაშეს.




23 წლის გოგონასთვის მიმებმა პანტომიმის თეატრის რეპერტუარში არსებული „ლუარსაბი" წარმოადგინეს. საქველმოქმედო სპექტაკლზე ბილეთები 10 ლარად გაყიდეს და მთელი შემოსავალი თათიას ანგარიშზე გადარიცხეს.

თათია დგებუაძეს დაუდგინდა ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე, იუნგის სარკომა. მისი მკურნალობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. თათიას სჭირდება გამოკვლევები და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსი, ხოლო ამის შემდგომ კი – აუცილებელია ოპერაცია.

პანტომიმის თეატრის მსახიობები მოუწოდებენ ყველას, ვისაც შესაძლებლობა აქვს, დაეხმარონ 23 წლის ახალგაზრდას, რათა მან შეძლოს მკურნალობა და საბოლოოდ გამოჯანმრთელება!

# ზუკა პაპუაშვილი ბოდიშს იხდის



რუსთაველის თეატრის მსახიობი ზუკა პაპუაშვილი თავის ერთგულ მაყურებელს ბოდიშს უხდის. მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაა, რის გამოც ის საპრემიერო სპექტაკლში თამაშს ვერ ახერხებს.

**ზუკა პაპუაშვილი:**

– მაყურებლისთვის ბოდიში არასოდეს მომიხდია, თუმცა, ალბათ, მოსახდელიც ბევრი მქონდა, მსახიობს როლი ხან გამოუვა, ხან არა.

ამჟამად, როცა მეჩვენება, რაღაცას მივაღწიე და, როგორც რეჟისორები მაიმედებენ, კარგად გავართვი თავი ამ რთულ როლს, ბედმა მიმუხთლა, დავკარგე ხმა. ექიმებმა ამიკრძალეს ხმის ამოღება არა მარტო სცენაზე, არამედ სცენის მიღმაც.

ბოდიშს გიხდით ოთხჯერ გადადებული პრემიერისათვის და იმედს ვიტოვებ, სულ მალე შევხვდებით ერთმანეთს. პატივისცემით, ზუკა პაპუაშვილი.

# როკ-მეტალ ფესტივალი სასულიერო პირებმა ჩაშალეს




საერთაშორისო ფესტივალი „თბილისი ჯემ ფესტ 2016", რომელსაც ორგანიზატორებმა საქართველოში წლის მთავარი როკ-მეტალ მოვლენა უწოდეს, ჩაიშალა. ამის მიზეზი ფესტივალის ტერიტორიაზე მისული სასულიერო პირები და მრევლი გახდა.

ორდღიანი ფესტივალი 4-5 ივნისს უნდა გამართულიყო, სადაც მონაწილეთა შორის შიდაშესარჩევი კონკურსიც შედგებოდა.

ფესტივალი თბილისში ზაჰესის საბაჟო ტერმინალზე დაიგეგმა. ფესტივალში უკრაინელი, აზერბაიჯანელი, შვედი, სომეხი და ქართველი შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

თვითმხილველთა თქმით, ფესტივალის მიმდინარეობისას, სავარაუდოდ, სასულიერო პირებმა და მრევლმა დენი გამორთეს და კონცერტის მონაწილეებს მოსთხოვეს, ტერიტორია დაეტოვებინათ, რადგან ხმა ეკლესიის მრევლს აწუხებდა და ფესტივალი საფლავებთან ახლოს იმართებოდა.

„ჯემ ფესტის" დირექტორის განცხადებით, ღონისძიების დაწყების დროს ფესტივალის ტერიტორიაზე რამდენიმე სასულიერო პირი მოქალაქეებთან ერთად მივიდა და ღონისძიების შეჩერება მოითხოვა, რის შემდეგაც კონცერტის ტერიტორიაზე ელექტროენერგია გაითიშა, ორგანიზატორებმა კი კონცერტის ჩატარება ვეღარ შეძლეს. ადგილზე გამოძახებული იყო საპატრულო პოლიციაც.

„ჯემ ფესტის" დირექტორი აცხადებს, რომ მიყენებული ზარალის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ და ფესტივალის მონაწილეებს ტერიტორია დაატოვებინეს.

ამ ადგილზე ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებით მის ორგანიზატორებს მერიისგან ნებართვა მიღებული ჰქონდათ. ფესტივალის ორგანიზატორები ახალ ფართს ეძებენ.

# რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი სასტუმრო აშენდება



რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი შენობა დაინგრევა და მის ადგილას სასტუმრო აშენდება.

რუსთაველის 12 ნომერში, იქ, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლია და ადრე მუხრანბატონის სასახლე იდგა, სულ მალე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება. ინფორმაცია და დამადასტურებელი ფოტოები ინტერნეტში ვრცელდება:

– თბილისში, რუსთაველის 12 ნომერში, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, ფორ სიზონ ჰოთელ ჯორჯია აშენდება. ფორ სიზონს ჰოთელს ენდ რესორთს მსოფლიო ბრენდია. მისი სასტუმროები წარმოდგენილია ამერიკაში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში. მშენებლობაში ჩაიდება 70 მლნ დოლარის ინვესტიცია. მშენებლობის დროს დასაქმდება 300 ადამიანი, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ მუდმივად დასაქმდება 150 ადამიანი.

ამ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. უმრავლესობამ რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი ახალი სასტუმროს მშენებლობა გააპროტესტა და ინვესტორებს თბილისის გარეუბნებში გადანაცვლებისკენ მოუწოდა:

– არანორმალურები ხართ! ავადმყოფები! სამარცხვინოები! როგორ ბედავთ!!!! ამ სასტუმროს უკან ჰორიზონტია? მთაწმინდაა... მემორიალური დაფა აქვს იმ შენობას... 9 მარტს დაღუპული მამულიშვილების... მოკლედ, უჯიშო ხალხი ხართ! აღარ შეგრჩებათ!!! – განაცხადა ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელმა ნანა კობალაძემ, რომელსაც თანამოაზრეები მრავლად გამოუჩნდნენ და განაცხადეს, რომ მთავარი პროსპექტის იერსახის დამახინჯების უფლებას არავის მისცემენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ოდესაში ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა



უკრაინის ქალაქ ოდესაში ქართული კინოს ფესტივალი გაიმართა. ღონისძიება ზაზა ურუშაძის „მანდარინებით" გაიხსნა.

ოდესის კინოთეატრში ქართველი რეჟისორების ნამუშევრები ერთი კვირის განმავლობაში იქნა წარმოდგენილი.

ოდესის კინოთეატრში წარმოდგენილი იყო ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები", თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები", ზაზა ურუშაძის „ბოლო გასეირნება" და „სამი სახლი", გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული" და „გაღმა ნაპირი" და დათო ბორჩხაძის „სეზონი".

ქართული ფილმების ჩვენებას ოდესაში პატრონაჟი საქართველოს საელჩომ უკრაინაში და საქართველოს საკონსულომ ოდესაში გაუწია.

# ალექსანდრე ჯეჯელავა: „რეგიონში უმაღლესი განათლების მოწინავე მომწოდებელი უნდა გავხდეთ"

– გვექნება პრეტენზია, რომ გავხდეთ ჩვენი რეგიონის ქვეყნებისთვის საშუალება, მიიღონ ხარისხიანი განათლება საქართველოში, – განუცხადა ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ „ქორთიარდ მარიოტში", სადაც საერთაშორისო სემინარი მიმდინარეობს.

– ძირითადი აქცენტები იქნება სასკოლო განათლების განვითარების მიმართულებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან ბევრი შესაძლებლობაა თუნდაც იმავე მასწავლებლების განვითარების კუთხით, თუნდაც სწავლის პროცესში იმავე ტექნოლოგიების გამოყენების. უმაღლეს განათლებას რაც შეეხება, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გვექნება პრეტენზია, გავხდეთ რეგიონში მოწინავე მომწოდებელი უმაღლესი განათლების და ევროპის ნაწილი ამ შემთხვევაში აზიის ქვეყნებისთვის, გავხდეთ ჩვენი რეგიონის ქვეყნებისთვის საშუალება, მიიღონ ხარისხიანი განათლება საქართველოში, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე თქმით, საზოგადოების თვალში მინისტრის ცვლილება ტრაგედიასთან არის დაკავშირებული და ის აპირებს, რომ ეს მითი დაამსხვრიოს.

– პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩვენ ვაგრძელებთ განვითარებას. ჩვენი ამოცანაა, ყველას დავანახოთ, რომ ეს გადაბარება იქნება ძალიან კონსტრუქციული. ყველაფერს გამოვიყენებთ, რაც აშენდა აქამდე და ზემოდან კიდევ ბევრ კარგ რამეს დავაშენებთ, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

შედიანიუსი

**წვერსაპარსი PHILIPS**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**

**50 ლარად**
**95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996

## TV პროგრამა

ოთშაბათი
6 ივნისი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**სუფთა ფურცელი**" (ჯ.ტეპლიცკი) **03.10** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **09.00** მხ/ფ "**ქრისთი დაბრუნება ქათერ გეფში**" **10.30** დ/ფ "ტაილანდი" **11.00** ქართ მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **12.30** დ/ფ "პერუ" **13.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** სერ. "**ვენდეტა**" **10** სერ. **01.50** მხ/ფ "**ულტრა ამერიკელი**" **03.40** მხ/ფ "**საიდუმლო სია**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30, 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.00** მხ/ფ "**მეფე არტური**"

**06.10, 08.25** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**მევლუდი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" III, IV მოქ. **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "ოსტატები" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 , 15.30, 1.00** სერ. **მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05 , 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შულერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 ივნისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.1424 |
| ევრო | — 2.3866 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0878 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.1997 |

**ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის**








7 ივნისიდან

სამკურნალო მცენარეები

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი


## რიანას ფოტოებმა ინტერნეტი ააფეთქა

მომღერალ რიანას ფოტოსურათებმა, რომლებიც სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მისმა მეგობარმა საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, ინტერნეტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. 28 წლის ვარსკვლავი თავის მეგობრებთან ერთად ისვენებს.



ფოტოსურათებზე ჩანს, როგორ ცეკვავენ და სვამენ გოგონები აუზთან. ასევე სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მეგობრები რიანას სიმღერაში ჰყვებიან. მომღერლის მეგობრის მელისა ფორდის გვერდს 713 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ფორდის პროფილში განთავსებულია ინფორმაცია, რომ ის ფოტოგრაფიითაა გატაცებული. მისმა ფოტოსურათებმა, რომელზეც რიანა საცურაო კოსტიუმშია აღბეჭდილი, რამდენიმე საათში თითოეულმა 10 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

## მაშველებმა პატარა წავი დედას დაუბრუნეს

იუთუბიში, ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებლის არხზე გამოჩნდა ვიდეორგოლი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ უბრუნებენ ამერიკელი მაშველები პატარა წავს მის დედას. ინციდენტი კალიფორნიის შტატში ქალაქ ბეიკერსფილდის სანაპიროსთან მოხდა.



სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობდა ვეტერინარი ჰერფერ ჰარისი, რომელიც თანამშრომლობს ორგანიზაციასთან, რომელიც ზღვის ცხოველების დახმარებითა და მკურნალობითაა დაკავებული. ასევე პატარა წავის დედისთვის დაბრუნების ოპერაციაში ადგილობრივი საზღვაო პატრული ტიმ კოვანიც მონაწილეობდა.

მიზეზი, თუ რატომ მოხდა პატარა წავის დედასთან დაშორება, უცნობია.

## ამერიკელმა იოგას გურუმ სოციალური ქსელის მომხმარებლები აღაფრთოვანა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა სოციალურ ქსელებში პოპულარობა საკუთარი სხეულის ფორმების წყალობით მოიხვეჭა. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტად ტანსრულია, ეს მას ხელს სულაც არ უშლის, იოგაში ივარჯიშოს. ამ ქალბატონს საკუთარი გვერდი აქვს ინსტაგრამში, რომელშიც საკუთარი ვარჯიშების ამსახველ ფოტოსურათებსა და ვიდეოჩანაწერებს აქვეყნებს.



28 წლის ჯესამაინ სტენლი თავის ხელმომწერებს მოუწოდებს, თავიდან მოიშორონ სტერეოტიპები, რომლებიც ტანსრულ ადამიანებს აქვთ ჩამოყალიბებული. ის იბრძვის იმისთვის, რომ სიტყვა „მსუქანი" შეურაცხყოფასთან აღარ ასოცირდებოდეს. იოგას გურუს თქმით, მას არ რცხვენია, საკუთარ თავს მსუქანი უწოდოს, ვინაიდან მას შეურაცხმყოფელად არ მიიჩნევს. გარდა ამისა, მას მიჰყავს ვარჯიშები იოგაში, ადვოკატად მუშაობს და თავის პირველ წიგნსაც წერს.

ჩრდილოკაროლინელი იოგას გურუს აკაუნტს ინსტაგრამში 170 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– სოციალურ ქსელებში რატომ არ ურთიერთობ?

– ხომ არ დაგავიწყდა, რომ ფსიქიატრი ვარ და მასეთი ურთიერთობები სამსახურშიც საკმარისად მაქვს.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, ეს დღესასწაულის დღეები მაქსიმალურად მშვიდ ოჯახურ გარემოში ჩავატაროთ, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით.

ცოლს გული აუჩუყდა, თვალზე ცრემლი მოადგა და ქმარს ნაზად მოეხვია:

– თანახმა ვარ, ძვირფასო, მოდი, დეტალები შევათანხმოთ.

– კარგი აზრია. მოკლედ, მე ვიყიდი ძეხვს, ყველს, ღვინოს, შენ კი შენს მშობლებთან წახვალ...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ისადილე?

– „ისადილე?" – გამოაჯავრა ქმარმა.

– გეყოფა ჩემი გამოჯავრება.

– „გეყოფა ჩემი გამოჯავრება".

– ისე ძალიან მიყვარხარ, რომ დაბადების დღეზე ჩემს მანქანას გაჩუქებ!

– ვისადილე, ვისადილე...

●●●

ქალი ნერვიულობისგან გამუდმებით ფრჩხილებს იკვნეტდა, რის გამოც მისი ფრჩხილები საშინლად გამოიყურებოდა. ერთხელაც დაქალმა ურჩია:

– შენ იოგა გჭირდება. ის სტრესის მოხსნის მეტად ეფექტური საშუალებაა.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ დაქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და, როდესაც მეორემ შენიშნა, რომ დაქალს გრძელი და მოვლილი ფრჩხილები აქვს, ეუბნება:

– ვხედავ, იოგამ გიშველა. მშვენიერი ფრჩხილები გაქვს.

– და მერე როგორ, ახლა ფეხის ფრჩხილებს ვიკვნეტ.

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, დაბადების დღეზე ტამპონი მაჩუქე, რა.

– რაა? იცი, ეგ რა არის?

– არა, მაგრამ ტელევიზორში ამბობენ, რომ თუ ტამპონი გაქვს, შეგიძლია ყოველდღე იარო პლაჟზე, ისეირნო ველოსიპედით, ირბინო და, საერთოდ, აკეთო ყველაფერი, რაც მოგესურვება და ვერავინ ვერაფერს შენიშნავს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ევრო–2016 ვინ ვინ არის

10 ივნისიდან 10 ივლისამდე ბებერი კონტინენტი საფეხბურთო ციებ-ცხელების ქვეშ იქნება. 1960 და 1984 წლების შემდეგ საფრანგეთი მესამედ უმასპინძლებს ევროპულ საფეხბურთო ფორუმს. ევროპის ჩემპიონატის არსებობის ისტორიაში, წელს პირველად ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ევრო 2016-ის გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას კონფედერაციის თასის 2017 წლის გათამაშებაში მიიღებს, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთში გაიმართება.

მატჩებს უმასპინძლებენ ბორდოში, ლანსში, ლილში, ლიონში, მარსელში, ნიცაში, სენდენში, სენტ ეტიენსა და ტულუზაში.

დღეიდან ვიწყებთ ყველა ჯგუფისა და მონაწილე გუნდების წარდგენას.

## ჯგუფი ა

### საფრანგეთი

საფეხბურთო ასოციაცია 1919 წელს შეიქმნა. მეტსახელი: სამფეროვნები, მამლები

შინაური კედლების ფრანგების მიღწევა 2000 წელს მოგებული ევროპის ჩემპიონატია, ხოლო 2006 წელს გერმანიაში გამართულ მუნდიალზე ფინალი დათმეს იტალიასთან.

ბოლო პერიოდში ფრანგები დიდ ტურნირებზე არ ბრწყინავდნენ: 2008 და 2010 წელს ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, ხოლო ევრო-2012-ზე მეოთხედფინალიდან გაცვივდნენ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ფრანგები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ, 1988 წელი იყო. სულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ფრანგებმა 32 მატჩი გამართეს. აქედან 15 მოიგეს, 8 ფრედ დაასრულეს და 9-ჯერ დამარცხდნენ. ბურთების შეფარდება – 49:39.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

02.07.2000 საფრანგეთი-იტალია 2:1 (დდ)

ევროპის ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა სასწაულად მოახერხა ოქროს მედლების მოპოვება. სილვიან ვილტორდმა ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო დავიდ ტრეზეგემ დამატებით დროში ოქროს გოლი გაიტანა.



ევროპის ორგზის ჩემპიონი (1984 და 2000 წლებში). ნაკრების ბომბარდირი ისტორიის განმავლობაში ტიერი ანრია, რომელსაც 51 გოლი აქვს გატანილი. მოქმედი ფეხბურთელებიდან საუკეთესო მაჩვენებელი კარიმ ბენზემას აქვს – 27.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ლილიან ტიურამს ჩაუტარებია – 142. მოქმედი ფეხბურთელებიდან აქაც ბენზემა ლიდერობს – 81.

მამლები, ტრადიციულად, კარგად თამაშობენ იმ ტურნირზე, რომლის მასპინძლებიც არიან. ისინი ევროპის ჩემპიონები გახდნენ 1984 წელს, როდესაც მიშელ პლატინიმ ფინალურ ეტაპზე გატანილი გოლების რეკორდი დაამყარა (9 ბურთი). ხოლო 1998 წელს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, რომლის გმირი უკვე ზინედინ ზიდანი იყო.

27.06. 1984 საფრანგეთი-ესპანეთი 2:0

ფინალ ჯახში პლატინიმ გაიტანა თავისი მე-9 გოლი და ანგარიში გახსნა, რის შემდეგაც ესპანელებთან გამარჯვება ტექნიკის საქმე იყო.

23.06. 1984 საფრანგეთი-პორტუგალია 3:2 (დდ)

უდრამატულესი ნახევარფინალი, რომელიც პენალტების სერიისკენ მიდიოდა, მაგრამ სიუჟეტის ასეთი განვითარება არ აწყობდა პლატინის, რომელმაც ზუსტი დარტყმით გადაწყვიტა მატჩისა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ოქროს მედლების ბედი.

იცით თუ არა, რომ საფრანგეთის ნაკრე-


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. კოსმეტიკაში გამოყენებული ნაწარმი; 7. ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალაქებში ხეივანი, პროსპექტი; 8. მცენარეული და ცხოველური ცხიმების შემადგენელი ნაწილი; 9. ხვავი; 13. სასროლეთი; 14. საგნების რიგის მაჩვენებელი; 18. მძაფრი სუნის მქონე მოყვითალო სითხე; 19. ეგვიპტის დედაქალაქი; 21. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 22. ამერიკული დათვი; 23. მტვერსავალი, თესლსავალი მცენარისა და ცხოველის გამრავლებისთვის; 24. გამდნარი ცხიმი.

**შვეულად:** 1. ვანდიუმის მჟავის მარილი; 2. ორტაეპიანი სტროფი; 3. ფრანგი ფიზიკოსი; 4. საკვერცხეებისგან მომზადებული პრეპარატი; 5. მუსიკალური საკრავი (სპილენძის თეფშები); 10. ჟამის წირვა; 11. რელიგიურ-სექტანტური მიმდინარეობა აშშ-ში; 12. თამაში ჩაქუჩებითა და ხის ბურთებით; 15. ყველაზე უფრო ორგანიზებული ძუძუმწოვართა რაზმი; 16. ... დრაიზერი; 17. ხელოვნურად გამოწვეული ძილი; 20. ქალაქი და ნავსადგური ჩინეთში.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი